



ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები  
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



ცესაცხე მასცემ

ZURAB SAKANDELIDZE

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი  
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF  
**Elguja Berishvili**

პროექტის მენეჯერი  
ემზარ ზენაშვილი

THE PROJECT MANAGER  
**Emzar Zenashvili**

პროექტის კოორდინატორი  
რუსულან აფცაური

THE PROJECT COORDINATOR  
**Rusudan Aptsauri**

ტექსტი  
დავით ჭელიძე

TEXT  
**David Chelidze**

დიზაინი  
ვახტანგ შატაიძე

DESIGN  
**Vakhtang Shataidze**

რედაქტორი  
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,  
კარლო ფაჩულია, ზალ წერაფარძე, ინგა ალავიძე,  
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF  
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,  
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,  
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო  
მიხეილ ზარგარიანი, ვივი კიკვაძე, ბორის სვეტლანოვი,  
ალექსანდრე კოტორაშვილი, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)

PHOTO  
**Mikhail Zargaryan, Givi Kikvadze, Boris Svetlanov,  
Aleksandre Kotorashvili, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)**

პარტნიორი  
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი  
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა  
საქართველოს ძიუდოს ფედერაცია

PARTNERS  
**Georgian National Olympic Committee  
Olympic Solidarity of the International Olympic Committee  
Georgian Judo Federation**

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

# ზურაბ საჭანდელიძე

2011

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია  
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION



## ყველაზე სწრაფი, ყველაზე მარტი...


ზურაბ საკანდელიძის ბავშვობა არაფრით გამოირჩეოდა ათასობით მისი თანატოლის ბავშვობისგან. მეზობლის ტოლ-ბიჭებთან ერთად თამაშობდა, ჭიდაობდა. ოდნავ რომ წამოიჩიტა, ბიჭები რიონზეც გადიოდნენ, მდორე ადგილი შეიგულეს და იქ ჭყუმპალაობდნენ ხოლმე, ხოლო ცურვა რომ ისწავლეს, აღარც აქოჩრილ მდინარეს და მორევს უშინდებოდნენ. მერე კი, თანდათანობით, მდინარეში ხიდიდან გადაშვებაც ისწავლეს.

ზურიკო ჯანმრთელი და ძლიერი ბაგშვი იყო, ამიტომაც ჭიდაობაშიც სულ გამარჯვებული გამოდიოდა და ცურვაშიც ტოლს არავის უდებდა. გამარჯვების გრძნობა გამდაფრებული ჰქონდა, თვალები უელავდა, სხეულში თითქოს რაღაც არაამქვეყნიური ძალა ჩაუჯდებოდა... ყველა საბავშვო თამაშობაში გამოირჩეოდა — დანასობიაშიც პირველი იყო და სირბილშიც, დაჭრობანაშიც ყველას ჯობდა და ლახტშიც. უბნის პირველობები იმართებოდა ხოლმე ფეხბურთში და ზურიკო აქაც საუკეთესო იყო. ერთი-ორჯერ ნახერხმოყრილ საჭიდაოზეც დაეჭიდა მეზობელი უბნის თანატოლებს და მათი უმეტესობა ბეჭებზე გააკრა. თუმცა ამას არ გაუყოყოჩია, არასოდეს არავინ დაუჩაგრავს და ამიტომაც შინ თუ გარეთ განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ.

ბავშვობიდან მოსდგამდა სიკეთე — ერთი სული ჰქონდა, ვინმეს დახმარებოდა, გვერდში ამოსდგომოდა. თვითონ რა ებადა და, მზად იყო, უკანასკნელი ლუკმა გაეყო. ახალ ტანსაცმელს რომ უყიდდნენ, ერიდებოდა კიდეც უბანში გავლა, ბავშვებს ხომ ეს არ გამოეპარებოდათ და თვითონაც უხერხულად იქნებოდა.

ბავშვი რომ პატარაობიდანვე ჯანმრთელი, მკვრივი და რკინასავით მაგარი იყო, ამას ყველა მისი ახლობელი ადასტურებს, თუმცა ისეთი დაბალი იყო, ვერც კი იფიქრებდი, ეს ბიჭი თუ ყველას მოერეოდა, ყველაზე სწრაფად თუ გაცურავდა და ირბენდა.

შიში არაფრისა ჰქონდა, ბავშვობიდან გულადი ბიჭი იზრდებოდა. ერთხელაც დედულეთში იყო სტუმრად, ცაგერის რაიონის სოფელ მახაში. ეს სოფელი ცხენისწყლის გაღმაა გაშენებული და გზა რომ არ იყო, ხალხი ბორნებით სარგებლობდა. ცხენისწყალი ჩქარი მდინარეა, ქვემოდან უნდა ჩა-





მოჰყვე, ბორანზე რომ მოხვდე, მტერს და ავს, და თუ ერთი ფეხი დაგიცდა, წყლიდან ცოცხლად ამოსვლა თითქმის წარმოუდგენელია. ერთხელ ზურიკომ ვერ მოზომა, მდინარეში გადაეშვა და წყალმა მაშინვე წაიღო. თუმცა, ერთ-ორ წუთში, ყველასთვის მოულოდნელად, ტალღებიდან თავი ამოყო და თავისიანებს ხელი დაუქნია. როგორც ჩანს, წყალში ჩავარდნამდე, წამის მეათასედებში, ბავშვმა მოისაზრა და ლრმად ჩაყვინთა, თორემ აკი ვთქვით, იქ გადარჩენის შანსი ერთობ მცირეა.

ზურიკოს უფროსი ძმა, ანზორი, სერიოზულად იყო გატაცებული კალათბურთით. სულიკო თორთლაძესთან დაიიოდა. ვარჯიშიდან შინ რომ მობრუნდებოდა, რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს სკამის რგოლისგან დამზადებულ კალათში ისროდა. მერე ძმაც აიყოლია. მამა, ბატონი ალექსანდრე, ჯავრობდა — ეგლა გაკლდათ, ახლა ამ სისულელეს გადაყვებით და სწავლაზე ხელს სულ აიღებთო. მივიდოდა და მოხსნიდა ამ რგოლს. მაგრამ სახლში სკამები ბლომად ჰქონდათ და... თავიდან იწყებოდა ყველაფერი. ბოლოს საქმე იქამდე მისულა, რომ ერთი მთელი სკამი აღარ დარჩენილა.

ამასპაში ზურიკო საკანდელიძემ კალათბურთის დარბაზს მიაკითხა — ანზორმა წაიყვანა. ჯერ შორიდან ადევნებდა თვალს სხვების თამაშს, მერე უფროსებმა თავისთან იხმეს და ხელში ბურთი შეაჩერეს — აბა, ერთი, კალათს დაუმიზნე და ისროლეო. ბურთმა ფარამდეც კი ვერ მიაღწია. ბიჭებმა სიცილი დააყარეს. ზურიკო სიბრაზისა და სირცხვილისგან წამოჭარხლდა. მეორედაც რომ ისროლა და ისევ უხეიროდ, თავი არ აუწევია, ისე მოკურცხლა უკანმოუხედავად. ის დღე იყო და ის დღე — გულში ამოიჭრა, კალათბურთელი უნდა გავხდე და ამათ ყველას უნდა ვაჯობოო.

## ვანატიპოსი

სულიკო თორთლაძე თბილისის „დინამოში“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა და თასის მფლობელიც, თუმცა სახელმწიფო უნივერსიტეტში იურისტის დიპლომი რომ მიიღო, ყველას ეგონა, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა დედაქალაქში დარჩებოდა და თავისი სპეციალობით გააგრძელებდა საქმი-

ანობას. იგი იმთავითვე გამოიჩინა პიროვნება იყო, შესანიშნავად იცოდა ქართული ლიტერატურა, ისტორია, იურისპრუდენცია და უთუოდ კარგი და ძლიერი იურისტიც დადგებოდა.

მაგრამ სულიკო თორთლაძემ სულ სხვა გზა აირჩია. მშობლიურ ქუთა-ისს დაუბრუნდა და კალათბურთის მწვრთნელად დაინყო მუშაობა. მთელი ქალაქი შემოიარა. ბავშვებს აკვირდებოდა, სპორტულ და ტანად ბიჭებს ეძებდა. მარტო ნიჭი მას არ აკმაყოფილებდა, კიდევ რაღაც თვისებები უნდა შეემჩნია, თვალებში ცეცხლი უნდა დაენახა.

კარგი ბიჭები მოდიოდნენ, ქუთაისის პირველებებს იგებდნენ, ხშირად თბილისის გუნდებსაც სჯობდნენ, საქართველოს მოსნავლეთა ნაკრებშიც ხვდებოდნენ, მაგრამ... მერე იყარგებოდნენ. მწვრთნელი უფრო მეტს ელოდა, დარწმუნებული იყო, დღეს თუ ხვალ ისეთ მოზარდს აღმოაჩენდა, რომელსაც თბილისში გაგზავნიდა, „დინამოში“ მოსახვედრად გაუწევდა რეკომენდაციას და მერე, ვინ იცის!..

... გერასიმე და გოგი ჭეიშვილები, იური სანიკიძე, თამაზ ბოჭორიშვილი, თამაზ ჩიხლაძე, ზაურ დოლაბერიძე, ორნესტ ჩიგოვაძე, თამაზ ვაშაკიძე, ზაურ ტყეშელაშვილი... ეს თაობა რომ მოვიდა, სულიკო თორთლაძეს უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონდა. ზურიკო საკანდელიძე ამ ბიჭების თანატოლი იყო, შესაძლოა, ერთი-ორი წლით უმცროსი, მაგრამ კალათბურთის სტანდარტებთან შედარებით — ტანდაბალი. სწორედ ამ ბიჭში აღმოაჩინა მწვრთნელმა ის დიდი ტალანტი, რომელსაც მისი იმედი უნდა გაემართლებინა. მართალია, წინ უზარმაზარი სამუშაო ედო, მაგრამ მთავარია, რომ რასაც ეძებდა, იმას მიაგნო და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაეშვა.

სულიკო თორთლაძის მეთოდი ასეთი იყო: მოზარდი ჯერ პიროვნებად, მოქალაქედ უნდა ჩამოყალიბდეს, მერე — სპორტსმენად. მწვრთნელი ახალბედებს თავიდან მსუბუქად ავარჯიშებდა, მაგრამ მერე და მერე დატვირთვები მატულობდა. თანატოლებში ყველაზე გამძლე საკანდელიძე აღმოჩნდა. უინიც მეტი ჰქონდა, ბრძოლის წყურვილიც, სიბჭვითეც. თუმცა სულიკო თორთლაძესთან ვარჯიში იოლი სულაც არ იყო. ერთ ილეთს ასჯერ, ათასჯერ ამეორებინებდა და სანამ საბოლოოდ არ დახვენდა, თავს არ დაანებებდა. გაგანია სიცხეში, თაკარა მზის ქვეშ, ყინვაში, თოვლში, თავს სხმაში ამეცადინებდა შეგირდებს. ბიჭი იყავი და ტემპს ჩამორჩენოდი. ამის



უფლებას ვინ მოგცემდა. ქანცის გაწყვეტამდე ვარჯიშობდნენ. თუმცა, ზოგჯერ გაუსაძლისი ხდებოდა ასეთი, ლამის კატორლული შრომა. ყოფილა შემთხვევა, ან პირდაპირ ვარჯიშიდან გაქცეულა ან ვარჯიშის შემდეგ გადაკარგულა, მაგრამ რამდენიმე დღეში ისევ უკან მობრუნებულა.

სულიკო თორთლაძის ხელმძღვანელობით ქუთაისელმა ჭაბუკებმა 1960-იან წლებში ზედიზე დ მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის ტიტული. რა თქმა უნდა, გუნდის ლიდერი მისი კაპიტანი ზურაბ საკანდელიძე იყო.

## პირველი ნაბიჯები დიდ კალათგურთვი

თხუთმეტი წლისა იყო, როცა თბილისში გადმოიყვანეს. ორი წელი 67-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა. „დინამოს“ მაშინდელმა მწვრთნელმა ოთარ ქორქიამ მიიწვია ნიჭიერი ახალგაზრდა. თვითონაც ენახა საკანდელიძის თამაში, მაგრამ, უწინარესად, სიყრმის მეგობრის, სულიკო თორთლაძის რეკომენდაციას ენდო.

ქუთაისელი ყმაზეილი ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ გუნდში მოხვდა, რომლის კაპიტანიც იყო ბრწყინვალე კალათბურთელი, რომის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, იმ დროისთვის ევროპის ორგზის ჩემპიონი გურამ მინაშვილი.

მინაშვილმა მართლაც უპატრონა და დიდი ამაგი დასდო ზურაბ საკანდელიძეს. ხუთ წელინადს თამაშობდნენ ერთად, „დინამოში“. რომ არა მინაშვილი, ახალბედა ქუთაისელს მართლაც გაუჭირდებოდა გუნდში დამკვიდრება. წინა წლის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელს, იმ სეზონში ტიტული უნდა დაეცვა და რომელი გონიერი მწვრთნელი მისცემდა თავს უფლებას, ვინმეს შელეოდა ძველი შემადგენლობიდან. თავად გურამ მინაშვილი, ალექსანდრე კილაძე, ლევან ინწკირველი.... ზურაბის მოწვევა და დაცვის ხაზში დაყენება სარისკო საქმე კი იყო, მაგრამ გამოცდილი სპეციალისტი გრძნობდა თაობათა ცვლის გარდუვალობას.

1963 წელს კრაკოვში სოციალისტური ქვეყნების დინამიადა მოეწყო. სწორედ მაშინ შესთავაზა გურამ მინაშვილმა მწვრთნელს ექსპერიმენტული სასტარტო ხუთეული, რომელშიც პირველად მოხვდნენ საკანდელიძე

და ამირან სხიერელი. საკანდელიძემ ბრწყინვალედ ითამაშა და გაამართლა ოთარ ქორქიას და გუნდის კაპიტნის ნდობა.

გურაბ მინაშვილი ასე ახასიათებს ახალგაზრდა ზურაბ საკანდელიძეს: „არაჩვეულებრივი პარტნიორი იყო, რაღაცას რომ ეტყოფი, შეუსწორებდი, შენიშვნას მისცემდი, გულისყურით გისმენდა და მადლიერი თვალებით შემოგხედავდა, სიახლეს ხალისით ითვისებდა“. სხვათა შორის, თავად ზურაბიც საქებარ სიტყვებს არ იძურებდა თავისი უფროსი მეგობრის მიმართ.

... „დინამიში“ მალე მოიპოვა ავტორიტეტი, თუმცა მანამდე, ჯერ კი-დევ ქუთაისში მცხოვრები საკანდელიძე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიიდახეს. გუნდს 1964 წელს ნეაპოლში ევროპის ჩემპიონატში უნდა ეთამაშა. ამ ნაკრებს სერგეი ბაშკინი ხელმძღვანელობდა.

1963 წელს ლენინგრადში საკავშირო ტურნირი მოეწყო, ქუთაისის გუნდიდან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ოთხნი მოხვდნენ: ზურაბ საკანდელიძე, ორნესტ ჩიგოვაძე, ზურაბ მხეიძე და გერასიმე ჭეიშვილი. ამ შეჯიბრებაში ლიტვის ახალგაზრდული ნაკრების წევრს, მომავალში კი საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების კაპიტანს მოდესტას პაულაუსკასასაც ჰქონდა დებიუტი. სწორედ იქ ნახა პირველად ბაშკინმა საკანდელიძეც და პაულაუსკასიც და ორივე უყოყმანოდ მიიწვია ნაკრებში.

იტალიამდე საბჭოთა ნაკრებმა რუმინეთის საერთაშორისო ტურნირში ითამაშა (ეს იყო ქუთაისელი კალათბურთელის პირველი გასვლა საზღვარგარეთ). საკანდელიძემ საუკეთესო ბომბარდირის პრიზი დაისაკუთრა, ბრწყინვალედ ითამაშა პაულაუსკასმაც.

1964 წლის ევროპის ჩემპიონატზე, ნეაპოლში ბაშკინმა ორივე ეს კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში დააყენა და პირველივე მატჩიდან ისინი გახდნენ გუნდის ლიდერები. სტარტზე საბჭოთა გუნდმა საფრანგეთის ნაკრები გაანადგურა — 63:35, სხვა მეტოქეებიც დიდი ანგარიშით და-ამარცხა და ევროპის ჩემპიონის ტიტულს დაუუფლა. ეს იყო ზურაბ საკანდელიძის პირველი ოფიციალური საერთაშორისო ტიტული და აღიარება.

სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ გომელსკი ყურადღებით ადევნებდა თვალს ახალგაზრდული გუნდის გამოსვლას და, როცა დრო მოვიდა, საკანდელიძე და პაულაუსკასი დიდი ნაკრების შეკრებაზე დაიბარა. 1965 წელს მოსკოვში ევროპის ჩემპიონატი უნდა ჩატარებუ-



ლიყო, მანამდე კი ნაკრების კანდიდატებს წინ ჰქონდათ საკავშირო ჩემპიონატის თამაშები.

რასაკვირველია, ზურაბ საკანდელიძე გულისფანცქალით ელოდა იმ დღეს, როცა თბილისის სპორტის სასახლეში პირველად წარსდგებოდა ქართველი გულშემატკივრის წინაშე. მართალია, საკანდელიძე ორი წლის წინ ჩაირიცხა „დინამოს“ შემადგენლობაში, მაგრამ სანაკრებო შეკრებებისა თუ ევროპული ჩემპიონატის გამო და იმიტომაც, რომ საკავშირო პირველობა ტურებად ტარდებოდა და „დინამოს“ საქართველოს გარეთ უწევდა გამოსვლა, მას 1965 წლის 22 თებერვლამდე არ უთამაშია საკუთარ მოედანზე.

იმ დღეს „დინამომ“ კიევის არმიელებს უმასპინძლა. თბილისელებმა ასეთი სასტარტო ხუთეული გამოიყვანეს: მინაშვილი, ლეუავა, უგრეხელიძე, სხიერელი, საკანდელიძე. ჩემპიონატის სასტარტო მატჩებმა ყველას დაანახა, რომ ზურაბ საკანდელიძე საუკეთესო სპორტულ ფორმაში იყო. ნაკრებში ახალმა გამოძახებამაც არ დაახანა. ორკვირიანი შეკრების შემდეგ, სსრ კავშირის ნაკრებმა გეზი ამერიკის შეერთებული შტატებისკენ აიღო.

## გამორჩეული ტურნე შტატებში და ევროპული ოქროს პრემიერალება

ეს ტურნე განსაკუთრებულია ზურაბ საკანდელიძის ბიოგრაფიაში.


საბჭოთა კალათბურთელებმა თითქმის ყველა შეხვედრა წააგეს და მხოლოდ სიეტლში აჯობეს მასპინძლებს 8 ქულით — 70:62. სასტარტო ხუთეული ასეთი იყო: ალაჩიანი, საკანდელიძე, ლიპსო, ვალტინი, ვოლნოვი. ვოლნოვმა ყველაზე მეტი — 19 ქულა მოაგროვა, ლიპსომ — 14, საკანდელიძემ — 12, ვალტინმა — 8, სხიერელმა — 7.

მაგრამ ამ მშრალი ინფორმაციის მიღმა ერთი ლირსშესანიშნავი ამბავი იმალება: სიეტლის მუნიციპალიტეტმა საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა ახალგაზრდა ქართველ კალათბურთელს, ნაკრების დებიუტანტს ზურაბ საკანდელიძეს. როგორც ჩანს, ზურაბმა თავისი ვირტუოზული თამაშით თვით მრავლისმნახველი ამერიკელებიც მოხიბლა.



სულიკო თორთლაძის მე-  
თოდი ასეთი იყო: მოზარდი  
ჯერ პიროვნებად, მოქალა-  
ქებდ უნდა ჩამოყალიბდეს,  
მერე — სპორტსმენად.  
მწვრთნელი ახალბეჭდის  
თავიდან მსუბუქად ავარ-  
ჯიშებდა, მაგრამ მერე და  
მერე დატვირთვები გა-  
ტულობდა. თანატოლებში  
ყველაზე გამძლე საკან-  
დელიძე აღმოჩნდა. უინიც  
მეტი ჰქონდა, ბრძოლის  
ნებურვილიც, სიბეჭიოთეც.





გურამ მინაშვილი ასე  
ახასიათებს ახალგაზრდა  
ზურაბ საკანდელიძეს:  
„არაჩეულებრივი პარ-  
ტნოორი იყო, რაღაცას  
რომ ეტყოფი, შეუსწორებ-  
დი, შენიშვნას მისცემდი,  
გულისყურით გისმენდა  
და მადლიერი თვალებით  
შემოგხედავდა, სიახლეს  
ხალისით ითვისებდა“

ამ მატჩის შეფასებისას ალექსანდრ გომელსკიმ თქვა: „საკანდელიძე არაფრით ჩამოუვარდებოდა ამერიკელებს, ის კი არა, სისწრაფეში სჯობდა კიდეც“...

ამერიკული ტურნეს კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ამბავი ის იყო, რომ ერთ-ერთ ქალაქში, ბანკეტზე, საკანდელიძისთვის მასპინძლებს მეტად მაცდური წინადადებით მიუმართავთ — ოლონდ დარჩი და ცალკე ხელფასს გადაგიხდით, ცალკე — ჰონორარს, სულ მილიონ-ნახევარ დოლარს მოგცემთ, რასაც საპრემიო თანხაც დაემატებათ. როგორი საქმეა ამგვარ წინადადებაზე უარის თქმა. მაგრამ საკანდელიძეს, საბჭოთა კავშირის მოქალაქეს, გარდა უარისა, სხვა რა უნდა ეთქვა.

„ჩემი სტილის კალათბურთელს ნბა-ში არ გაუჭირდებოდა, მაგრამ რომ გავიფიქრე, რა დღეში ჩაგდებდნენ ჩემს ოჯახს, მაშინვე უარი ვუთხარი“. რამდენიმე დღეში კი მოსკოვსა და თბილისში ევროპის ჩემპიონატი დაიწყო.

საბჭოთა კავშირის ნაკრები მოსკოვში ასპარეზობდა და ქართველ მაყურებელს მოაკლდა ის სიამოვნება, რასაც უსათუოდ მოჰკვრიდა საკანდელიძის თამაში.

ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ალექსანდრ გომელსკიმ მცირე კომენტარი გააკეთა: „იტალიელებთან შეხვედრაში საკანდელიძემ ფეხი იტკინა და რამდენიმე მატჩი გამოტოვა. მაშინ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა მისი მნიშვნელობა ჩვენი გუნდისთვის. ახლა იგი კარგადაა და დარჩენილ ბრძოლებში მთელი ძალით ჩაებმება. საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ ზურაბის თამაში განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს“. დამეთანხმებით, ისეთი მკაცრი და შეუვალი მწვრთნელისგან, როგორიც ალექსანდრ გომელსკია, ამგვარი შეფასება მეტად მნიშვნელოვანი იყო. ისიც საგულისხმოა, რომ იგი ჯერ კიდევ არ იცნობდა საკანდელიძეს, მის ხასიათს, მის ბუნებას და სპორტსმენს მხოლოდ წმინდა პროფესიული თვისებებით აფასებდა.

ფინალურ მატჩში საბჭოთა ნაკრებმა იუგოსლავის გუნდს 58:49 მოუგო და მერვედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა.

ზურაბ საკანდელიძისთვის კი ეს იყო პირველი ევროპული ოქროს მედალი.



იუგოსლავიის ნაკრების ლიდერმა, ევროპის ჩემპიონატის ყველაზე შე-  
დეგიანმა კალათბურთელმა რადივოვ კორაჩიმა საბჭოთა ნაკრებზე საუბ-  
რისას განსაკუთრებით გამოყო საკანდელიძე, როგორც „დიდი პოტენციის  
მქონე, მაგრამ უკვე ევროპული კლასის მოთამაშე“.

საბჭოთა კავშირის 1966 წლის ჩემპიონატის შემდეგ კალათბურთის სა-  
კავშირო ფედერაციამ სეზონის 25 საუკეთესო კალათბურთელი დაასახე-  
ლა, რომელთა შორის ზურაბ საკანდელიძე და ამირან სხიერელიც იყვნენ.  
უფრო ადრე, საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასრულებისას, გა-  
ზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციამ პირველობაში მონაწილე თორმეტი-  
ვე გუნდის მწვრთნელებს სიმბოლური ნაკრების შედგენა სთხოვა. მცველ-  
თაგან ყველაზე მეტი — 11 ხმა ზურაბ საკანდელიძემ მიიღო.

## ახალი მცველვალი და ახალი აღიარება

1967 წლის დადგომისთანავე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ინტენსიური  
მზადება დაიწყო წლის ორი დიდი ტურნირისთვის — მსოფლიოსა და ევრო-  
პის ჩემპიონატებისთვის.

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების წინ კალათბურთის საკავშირო ფე-  
დერაციის მთავარმა მწვრთნელმა ვიაჩესლავ ხრინინმა რუსულ სპორტულ  
პრესაში სტატია გამოაქვეყნა, სადაც იგი წერდა: „ტოკიოს ოლიმპიური თა-  
მაშების შემდეგ საბჭოთა ნაკრებს შეემატა რამდენიმე ახალგაზრდა კალათ-  
ბურთელი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ბოლო ორი წლის განმავლობაში.  
დღეს ისინი განსაკუთრებულ ატესტაციას არ საჭიროებენ. მკითხველი ალ-  
ბათ მიხვდება, რომ მხედველობაში მყავს მცველი ზურაბ საკანდელიძე (186  
სმ) თბილისის „დინამოდან“ და თავდამსხმელი მოდესტას პაულაუსკასი  
(194 სმ) კაუნასის „უალგირისიდან“. ამ უმაღლესი კლასის ოსტატებს ჯერ  
22 წელი არც შესრულებიათ — მათი ძალები სწორედ ახლა იფურჩენება.“

მსოფლიო ჩემპიონატს არგენტინა და ურუგვაი მასპინძლობდნენ.  
საბჭოთა ნაკრები ურუგვაიში თამაშობდა, ყველა მატჩი მაღალ დონეზე  
ჩაატარა, ფინალში იუგოსლავიას აჯობა და პირველად გახდა მსოფლიოს  
ჩემპიონი.

საბჭოთა გუნდის ამ გამარჯვებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ზურაბ საკანდელიძემ და მოდესტას პაულაუსკასმა. ზურაბი სასტარტო ხუთეულის უცვლელი წევრი იყო.

ურუგვაიში ზურაბ საკანდელიძემ მეორე, უფრო მაღალი სიმაღლე და-  
იპყრო — ევროპის ჩემპიონის სახელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მი-  
უმატა. ქართულ კალათბურთში დღემდე ორი მსოფლიო ჩემპიონი გვყავს  
— საკანდელიძე და დერიუგინი, მაგრამ ზურაბი, რა თუმა უნდა, პირველია!

სამშობლოში დაბრუნებულ მსოფლიო ჩემპიონს „ლელოს“ რედაქციამ განვლილ ბატალიებზე წერილის დაწერა შესთავაზა და საკანდელიძემაც არ გააწილა რედაქცია და მისი ასიათასობით მკითხველი. გაზეთის ორ ნომერში დაიბეჭდა ზურაბის სტატია „დიდი ოთხეული“, საიდანაც რამდენიმე ნაწყვიტის წარმოგებიდან.

„კალათბურთში, ისე, როგორც ჰოკიში, არსებობს „დიდი ოთხეული“, რომელიც ინანილებს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მთელ მარაგს. ამ მხრივ გამონაკლისს არც მსოფლიოს V ჩემპიონატი წარმოადგენდა, რომელ-მაკ „დიდი ოთხეულის“ წევრებს საბრძოლო მზადყოფნის ზენიტში მოუსწრო.

ძირითადი, სასტარტო ხუთეულის მიხედვით, ბრაზილიის გუნდი, ჩემი აზრით, დღესაც უძლიერესია მსოფლიოში. მაგრამ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს არ უვარება სკამის სიგრძე. უბირატანი, მენონი, ამაური, მოსკიტო და უარი ფენომენალური კალათბურთელები არიან, მაგრამ ნაკრების მექევსე მოთამაშე, მეცხრეზე ან მეათეზე რომ არაფერი ვთქვათ, ოსტატობის მხრივ საგრძნობლად ჩამოუვარდება მათ. ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან შეხვედრაში ბრაზილიელებს ძირითადი ხუთეული თამაშის ბოლომდე შერჩათ და გაიმარჯვეს კიდეც. მაგრამ ასეთი რამ მსოფლიოს პირველობის ფინალში, ისიც თანაბარი სიძლიერის გუნდების ორთაბრძოლაში, იშვიათად ხდება.

ისე კი, გულაბდილად უნდა ვთქვა, რომ ბრაზილიელები იუგოსლავი-ელებზე მეტად იყვნენ || საპრიზო ადგილის ღირსნი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ოდნავადაც არ გაუმართლა და ეს უდავოდ დაეტყო ტურნირის შედეგსაც. ბრაზილიელებმა თავიანთი ნამდვილი ძალა აშშ-ის ნაკრებთან ბოლო შეხვედრაში აჩვენეს. ამ გამარჯვებამ მათ უდიდესი მორალური კმა-ყოფილება და.... ბრინჯაოს მედლები მოუტანა.



მკითხველს, ბუნებრივია, აინტერესებს, თუ ვისი გამოყოფა შეიძლება ბრაზილიელთაგან. ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ხუთეულის ყველა წევრი ერთმანეთის ლირსია, მაგრამ უბირატანი და მენონი მაინც გამოირჩევიან სხვებისგან. ეს ტანდემი ზუსტი, უშეცდომო მექანიზმია, რომელიც ბრწყინვალედ ფლობს ყველა საკალათბურთო ცნებას.

„დიდი ოთხეულის“ მეორე წევრი — აშშ-ის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ სახელდახელოდ შეიკრიბა და ეს იყო მისი მთავარი ნაკლი. ამ გუნდის ზოგიერთი მოთამაშე საერთოდ არ ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებით. ისინი ურუგვაიში გამგზავრების წინ, 3 კვირით ადრე შეიკრიბნენ და, ცხადია, როგორც საჭიროა, ვერ შეთამაშდნენ. მაგრამ ამერიკელთა წარუმატებლობას სხვა მიზეზებიც ჰქონდა.


წინათ ამერიკის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი კოზირი სწრაფი, ტემპიანი თამაში გახლდათ. ამერიკელთა სახელგანთქმული პრესინგი და გრიგალისებური შეტევა მეტოქის ძალების არევ-დარევის მთავარი საშუალება იყო. ისინი ჯერ ფსიქიურად სპონდნენ მოწინააღმდეგეს და შემდეგ იწყებდნენ შეხვედრის მოგებას.


ურუგვაიში ამერიკელთა ტაქტიკამ სახე იცვალა. ტემპი, მკაცრი პრესინგი მოულოდნელად მდორე თამაშმა და ხანგრძლივმა გათამაშებამ შეცვალა. ასეთ დროს გუნდს ტყუორცნა მაინც უნაკლო უნდა ჰქონდეს. მაგრამ, და ალბათ ეს იყო ყველაზე მეტად გასაკვირი, ამერიკელების ტყუორცნის სიზუსტე საშუალოზე დაბალი გახლდათ. რა თქმა უნდა, ასეთი ნაკლით პირველობაზე ფიქრი ზედმეტია.

ამერიკელი კალათბურთელები ზედმეტად იყვნენ დარწმუნებული საკუთარ ძალაში და ამან დალუპა ისინი. მეტოქეთა ძალისა და უნარის უფრო რეალურად შეფასებით და კოლექტივის ერთიანობის ელემენტარული ნორმების დაცვით ისინი უდავოდ დიდ წარმატებას მიაღწევენ.

საბჭოთა წარმატების მწვრთნელის — ალექსანდრ გომელსკის აზრით, აშშ-ის კალათბურთელები საერთაშორისო სარბიელზე იყვნენ და არიან ჩვენი მთავარი მეტოქები. ამ აზრს მეც ვიზიარებ. არსად არ არის იმდენი უმაღლესი კლასის კალათბურთელი, რამდენიც ამ ქვეყანაში.

„დიდი კვარტეტის“ მეორე წევრმა იუგოსლავიამ სულ ათიოდე წელია, რაც ბრძოლით მოიპოვა ადგილი კალათბურთის მზის ქვეშ. პირველი სერი-





ვალერი ალთაბაევი:  
„ის იყო კადათბურთის  
მიშა მესხი. ქართული  
კალათბურთ ყოველთვის  
იმპროვიზაციას ეფუძნე-  
ბოდა, ზურიკო ე იმპრო-  
ვიზაციის მეცე იყო. ამის  
სწავლა არ შეიძლება, ეს  
შინაგანად უნდა დაგევეს.“

ოზული გამოწვევა ამა ქვეყნის ძლიერთ იუგოსლავიელებმა 1963 წელს გაუგზავნეს რიო-დე-ჟანეიროში. გუნდი, რომელიც მანამდე მსოფლიო კლასიფიკაციაში X ადგილს არ გასცდენია, ერთბაშად კვარცხლბეჭის მეორე საფეხურზე დადგა.

იუგოსლავიელები ამ ჩემპიონატს ფხიზლად, გონივრულად მიუდგნენ. ილუზიები მათ სამშობლოში დატოვეს, ურუგვაიში კი ჩამოიტანეს პრაქტიკული გეგმები, რაც „მოკრძალებულ“ IV ადგილს გულისხმობდა. მაგრამ „დიდი ოთხეულის“ სხვა წევრებისგან განსხვავებით, იუგოსლავიელებს ჰქონდათ ერთი უპირატესობა, რამაც განაპირობა კიდეც მათი წარმატება.

ეს იყო გუნდის ასაკი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. დიას, იუგოსლავის დღევანდელი წაკრები 7 წლისაა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელები 7 წლის მანძილზე ჭედნენ კოლექტივის მონოლითურობას, ერთიანობას. ასეთი „ხანდაზმული“ წაკრები მსოფლიოს V ჩემპიონატში არავის ჰყავდა.

ხშირად მეკითხებიან, ვინ იყო ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელი. ამის თაობაზე მონტევიდეოში ორი აზრი არ არსებობდა: საუკეთესო მოთამაშის „სიმბოლური“ გვირგვინი ყველა სპეციალისტმა ერთხმად მიაკუთვნა იუგოსლავიელ დანეცვა.

ჩვენთვის მოულოდნელი გამოდგა პოპულარული კორაჩის თამაში. თბილისელებს კარგად ახსოვთ ეს კალათბურთელი ევროპის ბოლო ჩემპიონატით. მაშინ კორაჩმა „ლელოს“ სპეციალური პრიზიც კი დაიმსახურა, როგორც ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა. მონტევიდეოში იგი სუსტად და ერთფეროვნად თამაშობდა. ამიტომ სულ მალე მოიხსნა კორაჩის პრობლემა, რომელიც ორიოდე წლის წინ მოსვენებას არ აძლევდა მსოფლიოს საუკეთესო მცველებს. მე ვფიქრობ, მისა მზე ჩაესვენა.

ურუგვაიში იგი წვერმოშვებული დადიოდა, თურმე ფიცი დაუდვია, რომ სანამ ჩემი გუნდი ორ თამაშს არ წააგებს, დალაქს არ გავეკარებიო. იუგოსლავიასთან გამარჯვების შემთხვევაში გადაწყვეტილი გვეონდა კორაჩისთვის სამართებელი გვეჩუქებინა, მაგრამ მატჩის დამთავრების შემდეგ ვიღას ახსოვდა კორაჩის წვერი.

წარმატებას ხშირად ისეთი უმნიშვნელო რამ განაპირობებს, რაც ერთი შეხედვით თითქოს ცხადზე უცხადესია. მაგალითად, ყველაზე კარგად იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტში, კერძოდ, კალათბურთში ცალკე-



ულ მოთამაშეთა კოლექტიურ სულისკვეთებას. ცნობილია ისიც, რომ უამისოდ სპორტის ვერც ერთ სახეობაში ვერ მიაღწევ ნამდვილ წარმატებას. ჩვენი ნაკრები ამ მხრივ სულ ახლოს დგას სრულყოფასთან და ეს, პირველ ყოვლისა, გუნდის მწვრთნელის, ალექსანდრ გომელსკის უდიდესი დამსახურებაა. ხშირად მეკითხებიან, რამ განაპირობა ურუგვაიში სსრ კავშირის ნაკრების ესოდენ დიდი წარმატებაო. მე დაუფიქრებლად ვასახელებ გუნდის წევრთა ამ ურთიერთობას, რომელიც შემდგომშიც ახალ-ახალი გამარჯვებების საწინდარი იქნება“.

... იმავე წელს ტამპერეში გამართული ევროპის პირველობა მრავალ-მხრივ მნიშვნელოვანი გამოდგა ზურაბ საკანდელიძისთვის. გარდა იმისა, რომ იქ მან მეორედ დაისაკუთრა კონტინენტის ჩემპიონის ტიტული, საყოველთაო აღიარებაც მოიპოვა. თუ სიეტლში, კალათბურთის სამშობლოში, დიდებული თამაშისთვის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს, ფინეთში სრულიად ევროპის კალათბურთის სამყარომ საუკეთესო მცველად აღიარა და სპეციალური პრიზითაც დაჯილდოვა. ქართველი სპორტსმენი სიმბოლურ წაკრებშიც დაასახელეს.

ევროპის ჩემპიონატზე ზურაბს „მფრინავი რაკეტა“ და „კოსმოსური სიჩქარის მეფე“ შეარქვეს.

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნიკოლაი სემაშკომ აღიარა, რომ საბჭოთა ნაკრებს არასოდეს პყოლია საკანდელიძის დარი სწრაფი და საიმედო მცველი: „ზურაბი ბრწყინვალე გამთამაშებელი, კარგი პარტნიორი და ინიციატივის მოყვარულია. განსაკუთრებით ფასდაუდებელია გაჭირვებაში. მსოფლიოს თითქმის ყველა თანამედროვე ვარსკვლავი მინახავს, მაგრამ ასეთი სწრაფი, თვალშეუვლები და აზარტული კალათბურთელი — არასდროს“, — განაცხადა მან.

ჩვენი თხოვნით, 38 წლის შემდეგ, საბჭოთა გუნდის ლიდერმა, მსოფლიოში აღიარებულმა კალათბურთელმა მოდესტას პაულაუსკასმა ამ ჩემპიონატიდან ერთი საგულისხმო ეპიზოდი გაიხსენა:

„ტამპერეში საკონგრესის განსაკუთრებით პოპულარული იყო, რაც მე, მის მეგობარსა და თანაგუნდელს ჯერ კიდევ ახალგაზრდული წაკრებიდან, ძალიან მახარებდა. ზურაბი ყველას ხიბლავდა სწრაფი და გააზრებული მოქმე-


დებით, მეტოქის ფარქვეშ მოულოდნელი, სპრინტერული გასვლებით. სსრ კავშირისა და გდრ-ის გუნდების მატჩის დამსწრეთ დიდხანს ემახსოვრებათ ერთი ასეთი მომენტი: გერმანელთა ფარის სიახლოვეს საბჭოთა და გერმანელი კალათბურთელები მაღალი ბურთის დაუფლებას ცდილობდნენ. და აი, მოულოდნელად ჰაერში აიჭრა საკანდელიძე, ბურთი ხელთ იგდო და „მეორე სართულზე“ მყოფმა, შეუჩერებლივ ტყორცნა მეტოქის კალათში. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ კარგა ხანს ვერ მოვიდნენ გონს არათუ გერმანელი კალათბურთელები და მაყურებლები, არამედ მისი გუნდის წევრებიც... ის მართლაც უნიკალური კალათბურთელი იყო“.

ამ არნახული მიღწეუებისა და აღიარების შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ქართველმა უურნალისტებმაც საკადრისად დააფასეს მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი, ევროპის საუკეთესო მცველი ზურაბ საკანდელიძე და ტრადიციულ საახალწლო გამოკითხვაში 1967 წლის საუკეთესო ქართველ სპორტსმენად აღიარეს. მეორე ადგილზე გასულ სპორტსმენს ზურაბმა 157 ქულით გაუსწრო!

## ცეკვა „ლეკური“ მეციაოში...

და აი, დადგა 1968 წელი — მეხიეოს XIX ოლიმპიური თამაშების წელი. კალათბურთელთა ტურნირზე გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი საბჭოელები ამერიკელების ჰეგემონიის დამხობას ლამობდნენ და ჯგუფში ყველა მეტოქეს, მათ შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს, ბრაზილიელებს მოუგეს. ამით გათამამაბულმა საბჭოთა გუნდმა ნახევარფინალში იუგოსლავიელებთან ზერელედ ითამაშა და ფიასკოც განიცადა.

ალექსანდრ გომელსკიმ ექსპერიმენტს მიმართა: ტომსონს, პაულაუსკასს, ლიპსისა და ანდრეევს ერთადერთი ნომინალური დამცველი „დაახმარა“. ცხადია, საკანდელიძე მარტო ვერ გაუმკვლავდებოდა ასევე რევანშის წყურვილით შეპყრობილ იუგოსლავიელებს. მათ რიგებში შეუდარებელი იყო ჩერმაკი, რომელმაც 3 წუთში 8 ქულა მოუტანა თავის გუნდს და ანგარიში 12:2 გახადა. ჩერმაკს პაულაუსკასი მეურვეობდა, რომელმაც საწყის წუთებში 3 პერსონალური შენიშვნა მიიღო.



საბჭოთა კავშირის 1966 წლის ჩემპიონატის შემდეგ კალათბურთის საკავშირო ფედერაციამ სეზონის 25 საუკეთესო კალათბურთელი დასახელა, რომელთა შორის ზურაბ საკანდელიძე და ამირან სხიერელიც იყვნენ. უფრო ადრე, საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასრულებისას, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციამ პირველობაში მონაწილე თორმეტივე გუნდის მწერთნელებს სიმბოლური ნაკრძალის შედგენა სთხოვა. მცველთაგან ყველაზე მეტი – 11 ხმა ზურაბ საკანდელიძემ მიიღო.

მერე ინიციატივას საბჭოთა ნაკრები დაეუფლა და 5 ქულით დაწინაურდა — 40:35. სწორედ ამ დროს მოდესტასმა მეხუთე პერსონალური შენიშვნა მიიღო და მოედანი დატოვა. სიტუაცია უაღრესად დაიძაბა. სელიხოვმა, ლიპსომ და კრიკუნმა ზედიზედ სამჯერ, ფარსქვემოდან ააცილეს ბურთი კალათს. აი, ამან გადაწყვიტა მატჩის ბედი იუგოსლავიელების სასარგებლოდ — 63:62. ასეთ შედეგს ნამდვილად არავინ ელოდა. ფინალში ამერიკელებმა იუგოსლავიელები აშკარად დაჯაბნეს — 65:48, ხოლო ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში საბჭოთა ნაკრებმა ბრაზილია დაამარცხა — 70:53.

ამ ოლიმპიადის თვითმხილველი, ცნობილი სპორტული ჟურნალისტი ნოდარ გუგუშვილი წერდა: „არ შეიძლება, ქებით არ მოვიხსენიოთ ზოგიერთი ჩვენი კალათბურთელის, პირველ ყოვლისა კი ზურაბ საკანდელიძისა და სერგეი კოვალენკოს მონდომება, თავგანნირვა. მათ ყველა შეხვედრა ღირსეულად ჩაატარეს და საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო საკანდელიძის შეუდარებელი ოსტატობა აღმიმდევრის მასპინძლებთან შეხვედრაში და მისი თავგანნირული, ცეცხლოვანი თამაში ბრაზილიელებთან“.

დაახლოებით იგივე თქვა მოდესტას პაულაუსკასმა: „ოლიმპიადაზე ზურაბ საკანდელიძემ თავგანნირულად ითამაშა. მან ყველა შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარა, იგი პირდაპირ ცეცხლს ანთებდა მოედანზე, ჰარში კი ლეკურს ცეკვავდა. მისმა ვირტუოზობამ ყველა მოხიბლა და აღაფრთოვანა, მათ შორის ბევრისმნახველი ამერიკელი სპეციალისტებიც“.

და აი, ბედის ირონია — იმ წელიწადს, 1968-ში, 14-წლიანი პაუზის შემდეგ თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო ზურაბ საკანდელიძე... უოქროსმედლოდ დარჩა.

კაცი მთელი წლის განმავლობაში საუკეთესო ფორმაში იყო, ოლიმპიადაზე ბრწყინვალედ იასპარეზა და ნაკრების ინტერესების გამო მშობლიური გუნდის დახმარება ვერ შეძლო. საერთოდ, საქართველოს ყველაზე ტიტულიანმა კალათბურთელმა კარიერა ისე დაამთავრა, „დინამოსთან“ ერთად დიდი გამარჯვება არ უზიმია.

თუმცა, მედლებს და გამარჯვებებს ვინ დაეძებს, 1969 წლის დასაწყისში სულაც ბენზე ეკიდა ზურაბ საკანდელიძის სიცოცხლე.



სსრ კავშირის 1968 წლის ჩემპიონი და ახალი სეზონის ლიდერი, თბილისის „დინამო“ საბჭოთა კალათბურთის აღიარებულ ლიდერს, მოსკოვის არმიელთა გუნდს ხვდებოდა. თბილისის სპორტის სასახლის ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა. შეხვედრის დამთავრებას აღარაფერი უკლდა, არმიელები ერთი ქულით იგებდნენ. დარბაზი ისე გრიალებდა, სპორტის სასახლეს გუმბათიანი სახურავი ლამის ჩამოინგრა. საკანდელიძემ თავისი ცნობილი სოლო რეიდი შეასრულა — სპრინტერული სიჩქარით და თავბრუდამხვევი ცრუმოძრაობებით ჩამოიცილა ყველა მეტოქე, ფარს რომ მიუახლოვდა, ჰერში აფრინდა და ბურთი კალათმი მოათავსა. ასეთ დროს, როცა აღტკინებული ათი ათასი კაცი ბობოქრობს და სასახლე ზანზარებს, თითქოს რას უნდა გამოეცა ისეთი ხმა, რომ ადამიანის ყურამდე მისულიყო, ან რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ ეს აგუგუნებული დარბაზი ერთბაშად დადუმებულიყო.... როცა ზურაბი იატაქზე ეშვებოდა, ერთ-ერთმა მეტოქემ მხარი შეუშვირა, მან წონასწორობა დაკარგა, ამოტრიალდა და ძირს ზურგით დაეწარცხა!

ელდანაცემი ხალხი გაიტრუნა.

საკანდელიძე საკაცით გაიყვანეს მოედნიდან...

სამედიცინო დასკვნა ასეთი იყო: უძინესი კომოციო; პირველადი სავარაუდო დასკვნა — ფუძის მოტეხილობა — საბედნიეროდ, არ დადასტურდა.

ორთვიანი გაუნძრეველი წოლითი რეჟიმის შემდეგ ზურაბ საკანდელიძემ ვარჯიში განაახლა, „დინამოს“ და ნაკრებს დაუბრუნდა, ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა და უფროსი მწვრთნელისგან ქებაც დაიმსახურა.

საკანდელიძისთვის რიგით მესამე ევროპული ჩემპიონატი იტალიაში — კაზერტასა და ნეაპოლში გაიმართა. საბჭოთა ნაკრებმა ფინალში იუგოსლავიის გუნდს მოუგო, რომელსაც ტურნირამდე ცოტა ხნით ადრე ავტოკატასტროფაში დაღუპული უდიდესი კალათბურთელი, რადივოვ კორაჩი გამოაკლდა.

ალექსანდრ გომელსკიმ ასე შეაფასა ქართველი კალათბურთელის გამოსვლა: „ზურაბის თამაშით კმაყოფილი ვარ. იგი უმეტესად სასტარტო ხუთეულში გამოდიოდა, რაც, თავისთავად მეტყველებს მის მაღალ კლასზე და სტაბილურობაზე. საკანდელიძე ჩვეული მონდომებით და თავდავინ-



სერგო ეოფალენკო და  
ზურაბ საკანდელიძე  
სანაერებო ვარჯიშიდან  
კარგ გუნებაზე ბრუნდებიან



ალექსანდრ გომელიკი:

„ზურაბ საკანცელიძე საპჭოთა კალათბურთის მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე სწრაფი მოთამაშე იყო. ის კი არ დარბოდა, დაფრინავდა, მისი დანევა, ბურთის გათმამების დროსაც კა, არავის შეძლო. მისი რეაცია და სინერგე აოცებდა მეტოქებს და მაყურებლებს. ყველაზე უკეთ ეხერხებოდა მონინაალმდების გადაცემის ჩატრა და ბურთის ხელში ჩაგდება, რაც ჩვენს გუნდს კონტრშეტევების განსახორციელებლად მშვენიერ შესაძლებლობას უქმნიდა.“

ყებით იბრძოდა, თუმცა ნაკლიც ჰქონდა. მან აუცილებლად უნდა იმუშაოს ტყორცნის სიზუსტის მისაღწევად“.

1970 წელს უკვე ლიუბლიანამ უმასპინძლა მსოფლიოს ჩემპიონატს. მოქმედმა ჩემპიონებმა სუსტად ითამაშეს, ორი მატჩი დათმეს — ჯერ ბრაზილიასთან, შემდეგ კი ამერიკასთან და თუმცა ჯგუფში იუგოსლავიას მოუგეს, საბოლოოდ ოქროს მედლები მაინც მასპინძლებმა მოიპოვეს. საბჭოთა ნაკრებს მესამე ადგილი ერგო.

გომელსკი განსაკუთრებით გაამწარა ამერიკელებთან მარცხმა, თუმცა რამდენიმე კალათბურთელის, მათ შორის საკანდელიძის მისამართით საყვედური არ დაცდენია. თავის გვიანდელ მოგონებებში გომელსკი წერდა: „უნდა გამოვტყდე, რომ სხვებთან შედარებით გარკვეულ თავისუფლებას ვაძლევდი საკანდელიძეს. მას არ სჭირდებოდა კილომეტრიანი კროსები, დამქანცველი და ყველა სპორტსმენისთვის მომაბეზრებელი ძალოსნური ვარჯიშები. პირიქით, ამით სულაც შევაძულებდი საქმეს. ყველა კალათბურთელს, ისევე როგორც, ზოგადად, სპორტსმენს, ინდივიდუალურად უნდა მიუდგე და მეც, როგორც იშვიათ გამონაკლიისს, საკანდელიძეს მეტ დამოუკიდებლობას ვანიჭებდი. ზურაპი დიდებული კალათბურთელი იყო და მე ვამაყობდი მისით“.

თვითონ ზურაპს აქვს ნათქვამი: „გომელსკი გუნდს სავარჯიშოდ რომ გაიყვანდა, მეტყოდა ხოლმე — **Сако, ты как хочешь, так тренируйся.** მაგრამ სანამ ამას მივაღწევდი, მრავალი წლის განმავლობაში დიდი ოფლის ღვრა დამჭირდა. არ დაგავინყდეთ, მე სულიკო თორთლაძის სკოლა მქონდა გავლილი“.

ცნობილმა ქართველმა კალათბურთელმა ვალერი ალთაბაევმა საინტერესოდ ახსნა ეს ამბავი:

— ზურიკი სხვანაირი კაცი იყო. თუ ჩვენ, თითქმის ყველა კალათბურთელი რაღაცაზე და ვიღაცაზე ვიყავით დამოკიდებულნი, საკანდელიძე გაცილებით თავისუფალი იყო, როგორც ადამიანი, როგორც პიროვნება. ერთხელ, როცა თოვლში სირბილს აიძულებდნენ, თქვა — მე არ ვირბენო! შინაგანი სიმტკიცე ჰქონდა. ხანდახან ღვინოსაც სვამდა, პრეფერანსსაც თამაშობდა, მაგრამ, რაც მთავარია, არაჩვეულებრივი კალათბურთელი იყო... რის უფლებასაც ის თავს აძლევდა ვარჯიშის ან თამაშის დროს, ჩვენ



იმას ვერ გავბედავდით. ასეთი თავისუფალი მოთამაშე არც საქართველოში ყოფილა, არც საბჭოთა კავშირში. ის იყო კალათბურთის მიშა მესხი. ქართული კალათბურთი ყოველთვის იმპროვიზაციას ეფუძნებოდა, ზურიკო კი იმპროვიზაციის მეფე იყო. ამის სწავლა არ შეიძლება, ეს შინაგანად უნდა დაგყვეს.

ხოლო თუ როგორ დიდ პატივს სცემდა გომელსკი თავის შეგირდს, ამ პატარა წარწერიდანაც კარგად ჩანს, საკანდელიძისადმი ნაჩუქარ თავის წიგნს რომ მიაწერა:

„Близкому и славному Сако – одному из самых великих баскетболистов нашего времени. Я счастлив, что трудился вместе с тобой в сборной СССР, где ты был моим учеником и стал дорогим другом. Пусть в жизни тебе всегда светит солнце, ибо ты сам алмаз.

Александр Гомельский“.

... გომელსკის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ჩაგდება არ აპატიეს და და ნაკრები ლენინგრადის „სპარტაკის“ უფროს მწვრთნელს ვლადიმირ კონდრაშინს ჩააბარეს..

ევროპის 1971 წლის ჩემპიონატს დასავლეთერმანულმა ესენმა უმასპინძლა. საბჭოთა ნაკრებმა ფინალს შედარებით იოლად მიაღწია, გადამწყვეტ მატჩში კი ძველი ნაცნობი და „მოსისხლე მტერი“, იუგოსლავიის ეროვნული გუნდი შეხვდა.

საბჭოელებს თავიდანვე არ წაუკიდათ თამაში და ერთ მომენტში მეტოქეს 14 ქულით ჩამორჩნენ. მერე ვითარება შეიცვალა და ანგარიშიც გათანაბრდა — 43:43. ამან, ეტყობა, დიდი ენერგია წაიღო. იუგოსლავიები კვლავ წინ გაიჭრნენ და საბოლოო გამარჯვებაც თითქოს ახლოს იყო.

სწორედ ამ დროს გამოიყვანა კონდრაშინმა მოედანზე ქართველი კალათბურთელი, რომელიც დიდხანს იჯდა სათადარიგოთა სკამზე. საკანდელიძე მაშინვე ჩაება ბრძოლაში, თავის თავზე აიღო თამაში, სამი ელვისებური შეტევა განახორციელა, მეტოქის საპასუხო იერიში ჩაშალა, 6 უპასუხო ქულა აიღო და, ფაქტობრივად, მატჩის ბედიც გადაწყვიტა. ქართველის ასეთმა აფეთქებამ მისი თანაგუნდელებიც გამოაფხიზლა და ყველამ ერთად საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს.



ზურაბი ყველას ხიბლავდა  
სწრაფი და გააზრებული  
მოქმედებით, მეტოქის  
ფარქვეშ მოულოდნელი,  
სპრინტერული გასედებით.



გერმანიდან თბილისში დაბრუნებულმა გაზეთ „ლელოს“ რედაქტორმა მიხეილ კაკაბაძემ თავის გაზეთში ვრცელი წერილი მიუძღვნა ამ ჩემპიონატს. აი, ერთი ნაწყვეტი ამ წერილიდან:

„პრესაში რატომდაც სათანადო არ მიეზღო ზურაბ საკანდელიძეს. საკანდელი ვიზიარებ იმ უურნალისტთა და სპეციალისტთა აზრს, რომლებმაც ამ წარმოუდგენლად ძნელ და საოცრად დაძაბულ მატჩში გამარჯვების მთავარ შემოქმედად მოსკოველი არმიელი ალექსან უარმუხამედოვი მიიჩინეს. მან მართლაც ზღაპრულად ძნელი საქმე გააკეთა: თავფეხიანად შებოჭა ევროპული კალათბურთის მშვენება, ამერიკული ყაიდის ცენტრალური თავდამსხმელი ჩინისჩი და ამით ბირდაპირ საძირკველი გამოაცალა მსოფლიო ჩემპიონთა გუნდს. მაგრამ ხომ გახსოვთ, იყო მომენტი, როცა საბჭოთა ნაკრებს ძალიან ცუდად ჰქონდა საქმე — იუგოსლავიელები 14 ქულით დაწინაურდნენ, თანაც, თამაში არ გამოგვდიოდა. მერე საბჭოთა კალათბურთელებმა იძალეს, ანგარიში გათანაბრდა (43:43). და აი, ამ მომენტში ქარიშხალივით დატრიალდა მოედანზე შემოსული საკანდელიძე (აკი თვით ფიბა-ს პრეზიდენტმა უილიამს ჯონსმა თქვა, საკანდელიძის თამაში ცეცხლოვან ქართულ ცეკვებს მაგონებსო...) და ზედიზედ სამი ელვისებური გარდვევით მეტოქეთა კალათში სამი ბურთი მოათავსა, მერე კი, პატარა ინტერვალით, კიდევ ერთი... ეს გახლდათ ნალდად გარდამტეხი მომენტი ამ არაადამიანურად მძიმე, ნერვულად და ფიზიკურად უკიდურესობამდე დაძაბული მატჩისა. ამდენად, უარმუხამედოვთან ერთად ოქროს მედლების მოპოვებაში თანაბარი დამსახურება საკანდელიძეს მიუძღვის.“

ასე და ამრიგად, ზურაბ საკანდელიძე მეოთხედ და ბოლოჯერ დაისაკუთრა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი.

### „დინამოს“ სული და გული

ცხადია, ზურაბი მშობლიურ „დინამოშიც“ გამორჩეული ფიგურა იყო. ახლა სწორედ საკავშირო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი უნდა გავიხსენოთ იმდროინდელ „ლელოში“ გამოქვეყნებული წერილების თანხლებით.

თბილისის „დინამო“ — რიგის ასკ. ეს შეხვედრა თბილისში გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 94:82. ბალტისპირელთა რიგებში ალმა-ათიდან ახალი გადასული, ვინმე ვეისმანი თამაშობდა, რომელიც თავისი გუნდის ლიდერად მოგვევლინა.

მაგრამ ამ კონკრეტულ შეხვედრაში ლატვიელებს ცუდად წაუვიდათ საქმე.

„ეს ცხადი გახდა პირველივე წუთზე, პირველივე შეტევის შემდეგ, იმიტომ, რომ თბილისელთა მთავარი ძალა, მთავარი მექანიზმი შეუცდომლად მოქმედებდა ყველა საკვანძო მომენტში; იმიტომ, რომ საკანდელიძის უპადლო ოსტატობით აღფრთოვანებული თანაგუნდელები წაცარტუტად აქცევდნენ ყველაფერს, რაც წინ ხვდებოდათ. თბილისელები სინქრონულად მოქმედებდნენ ყველა რგოლში, შეტევის წინა ხაზზეც და მას შემდეგაც, როცა იერიში სიმზვავეს კარგავდა. „დინამომ“ კარგად შეუფარდა ერთმანეთს პოზიციური თამაში და ცეცხლოვანი შეტევები. იქ, სადაც ერთი ხერხი უძლური იყო, გუნდი მეორეს მიმართავდა და ამ ზუსტი მონაცვლეობით მუდამ დაძაბული ჰყავდა მეტოქე...“

თბილისის „დინამო“ — თბილისის „ბურევესტნიკი“ — 80:74. ამ მატჩის შესახებ „ლელო“ წერდა: „დინამოს“ წარმატებით გამოწვეული ეფექტი სანახევროდ ზურაბ საკანდელიძის მაღალ ოსტატობას უნდა მივაწეროთ. ლიდერი ამ დღეს მაყურებლის წინაშე სრულიად ახალ როლში წარსდგა. მან, როგორც ჩანს, შეგნებულად თქვა უარი თავის რეაქტიულ თვისებებზე და ბრძოლის მეთოდად პოზიციური თამაში არჩია. ეს ერთი შეხედვით გაუგებარი ექსპერიმენტი მთავარ ტაქტიკურ სიურპრიზად იქცა, რომელმაც ალბათ გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი. არც ერთი სწრაფი შეტევა, არც ერთი მოულოდნელი და სწრაფი გასცლა მეტოქის ფარქვეშ. საკანდელიძე, როგორც წამდვილი დირიჟორი, მეორე პოზიციიდან ხელმძღვანელობდა შეტევებს და უაღრესად ზუსტად ირჩევდა ადგილებს სროლისთვის. 80 ქულიდან 20 მის წილად მოდის, ეს ფაქტიურად წარმატების მეოთხედია, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ საკანდელიძემ, როგორც მცველმა, სინამდვილეში გადააჭარბა საკანდელიძეს, როგორც თავდამსხმელს. ამ მატჩის მაგალითზე სავსებით გასაგებია, რატომ მიაჩინათ იგი საბჭოთა კავშირის ნაკრების უცვლელ კანდიდატად“.



...ისევ საკავშირო ჩემპიონატი. თბილისის „დინამომ“ მინსკის რტი და-ამარცხა ოთხი ქულით.

„კალათბურთში ბრძოლას კოლექტივი იგებს — ეს ძველთაძველი ჭეშ-მარიტება. მაგრამ ყოველ კოლექტივს უნდა ჰყავდეს თუნდაც ერთი ლი-დერი, რომელიც არა მარტო ზუსტად გრძნობს დისტანციას მეტოქის კალა-თამდე, არამედ შეუძლია თვითონ აიღოს ბრძოლის სადავეები და დანარჩე-ნებიც თან გაიყოლოს. ამ მატჩში ასეთი ლიდერი საკანდელიძე იყო, რომ-ლის თამაშს, შესაძლოა, აკლდა გარეგნული ეფექტი (სხვა შეხვედრებთან შედარებით), მაგრამ სარგებლიანობის მხრივ ნაკლა ვერ მოუძებნიდით.

საკანდელიძემ ხომ ივარგა და ივარგა, სხვებიც აიყოლია და, როგორც სულ მალე გამოირკვა, მინსკის გუნდს არ აღმოაჩნდა, მაგალითად, ბიჭი-აშვილის ნეიტრალიზების საშუალება. თბილისელებმა მეტად ძნელი ბრძო-ლა მოიგეს, მაგრამ ეს მატჩი სხვა მხრივაც არის სამაგალითო: მან ნათლად გვიჩვენა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბრძოლის პროცესში აქტიური აზროვ-ნების გარდაქმნას, სქემების სწორ მონაცვლეობას“.

საბჭოთა კავშირის მორიგი ჩემპიონატი ტურობრივი სისტემით ჩატარ-და. პირველ მატჩში თბილისში „დინამომ“ მოსკოველ თანაკლუბელებს მო-უგო. „ლელოს“ საკალათბურთო მიმოხილვების ავტორი ნოდარ გუგუშვი-ლი წერს: „...მე პირადად ბევრჯერ მინახავს საკანდელიძის უნაკლო თამაში, მაგრამ თუ მას, ამასთან, ასეთი მაორგანიზებელი ნიჭი და გუნდის ნების-ყოფის წარმართვის უნარი ჰქონდა, მართალი გითხრათ, არ ვიცოდი. საკან-დელიძის მაღალი ოსტატობა საქმის მხოლოდ ერთი მხარეა, მაგრამ როცა გუნდი ლიდერს აპარებს მართვის უფლებას და ისიც უსიტყვოდ იღებს ამ მძიმე ტვირთს, ეს უდავოდ ბევრს ნიშნავს, მით უმეტეს, რომ კარგი მაგა-ლითი მუდამ გადამდებია. ერთი სიტყვით, საკანდელიძემ ითავა და მას უსიტყვოდ გაჰყვნენ დანარჩენები, პირველ ყოვლისა კი მიხეილ ქორქია. ასე დადგა ამ შეხვედრაში მობრუნების მომენტი. ჯერ საკანდელიძე, მერე ქორქია, პულავსკი, ბიჭიაშვილი, მერე კი დანარჩენებიც... მოსკოვის „დინა-მომ“ ვეღარ გაუძლო ამ მასირებულ შეტევას და გატყდა ფიზიკურად, მო-რალურად, ფსიქოლოგიურად.

გამარჯვება, რა თქმა უნდა, მუდამ სასიამოვნოა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ თბილისის „დინამომ“ განსაცდელის უამს საკმაოდ ბასრი კლან-



ჭები გამოაჩინა. მთავარი ისიცაა, რომ გუნდს შესძლებია ბრძოლა უცენტროდ (იური ძიძიგურმა შეხვედრის პირველ წუთებშივე მიიღო სერიოზული ტრავმა და ბრძოლას გამოეთიშა), ბრძოლა ძნელი, მწვავე, მაგრამ გამარჯვების მომტანი. რა გასაკვირია, რომ მატჩის შემდეგ ფეხზე ვერ იდგნენ ვერც ქორქია და ვერც საკანდელიძე. მათ ხომ მთელი სული და გული ჩაასაკვეს ამ ბრძოლაში, საჩუქრად კი ლამაზი და დამაჯერებელი გამარჯვება მიიღეს".

ისევ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატია. თბილისში ტალინის „კალევს“ ვეთამაშებით. „დინამოს“, ანუ საკანდელიძის ელვისებური გარღვევა პირველივე წამებზე და პირველი ორი ქულაც მოპოვებულია. საწყის ხუთ-ექვს წუთში სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს დინამოელთა შეტევებს და მასპინძლები საგრძნობლად დაწინაურდნენ. ზურაბმა არა მარტო მთელი გუნდი ჩართო იერიშებში და საერთოდ, უნარიანად ხელმძღვანელობდა თანაგუნდელთა შეტევებს, არამედ თვითონაც ზუსტად ტყუორცნიდა პერიმეტრიდან და დიდ თავსატეხს უჩენდა ბალტიისპირელ კალათბურთელებს.

იგივე განმეორდა „უალგირისთან“ შეხვედრაშიც. თავიდან მცირე უპირატესობა სტუმართა მხარეს იყო, მაგრამ ზურაბ საკანდელიძის ჩინებული თამაშის შედეგად სიტუაცია შეიცვალა და „დინამომ“ დაწინაურება შეძლო. გუნდის კაპიტანი თავადაც ზუსტად ისროდა, მაგრამ, რაც მეტად დასაფასებელია, ზურაბმა არაჩვეულებრივი ორგანიზაციული ნიჭი გამოამჟღავნა და მთელი გუნდი აიყოლია.

ისევ „კალევს“ ვეთამაშებოდით, ზურაბ საკანდელიძემ რომ ახალი სასწაული მოახდინა. თუ მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ფინალში საბჭოელებმა ამერიკელებს ბოლო სამ წამში გამოგლიჯეს გამარჯვება, „დინამოს“ ლიდერს ამისთვის... ერთადერთი (!) წამი ჰქონდა დარჩენილი. ასეთი რამ კალათბურთში ძალზე იშვიათად ხდება: საკანდელიძემ ბურთი მიიღო, მაღლა ახტა, ჰაერში შემოტრიალდა და ზუსტად ტყუორცნა კალათში. და ეს ყველაფერი, როგორც ვთქვით, ერთ წამში მოასწორ. ეს უკვე ფანტასტიკის სფეროდან იყო!..

## მიუხერამდე

ისევ სანაკრებო ბატალიებს მივუპრუნდეთ.


ოლიმპიური წელი კონდრაშინმა ნოვაციებით დაიწყო. 1972 წლის იანვარში ბრაზილიაში გამართულ საკონტინენტო შორისო თასის გათამაშებაზე არ წაიყვანა გუნდის ლიდერები — კაპიტანი პაულუსკასი, საკანდელიძე და ტამისტე. სამაგიეროდ, სანკტეპეტრბურგელმა სპეციალისტმა ბრაზილიაში ახალგაზრდები და, მათ შორის, მიხეილ ქორქიაც იახლა.

საბჭოთა ნაკრებმა ამერიკის შეერთებულ შტატებს 10 ქულით მოუგო, მაგრამ მასპინძლებთან ერთი ქულით დამარცხდა. თავის მხრივ, ბრაზილი-ელებმაც ამერიკელებთან მთელი 22 ქულით დათმეს შეხვედრა. საბოლოოდ სამ გუნდს თანაბარი ქულები აღმოაჩნდა და საპრიზო ადგილები ბურთების სხვაობამ გაანაწილა: 1. აშშ, 2. სსრკ, 3. ბრაზილია.

ახალ მწვრთნელს ეს შედეგი მარცხად ჩაუთვალეს და ამის თაობაზე საგანგებოდ იმსჯელეს 18 აპრილს გამართულ კალათბურთის საკავშირო ფედერაციის სხდომაზე. იმავე სხდომაზე დაამტკიცეს ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა სია: ანდრეევი, ქარმუხამედოვი, ევგენი კოვალენკო, სერგეი ბელოვი, ედეშვილი (ცსკა), პაულაუსკასი, ლინკიავიჩუსი („უალგირისი“), საკანდელიძე, ქორქია („დინამო“, თბილისი), ტომსონი, კრიკუნი („კალევი“), ალექსანდრ ბელოვი, ვოლჩიკოვი („სპარტაკი“), დვორნი („ურალმაში“), პოლივოდა („სტრიოტელი“), ვოლნოვი („დინამო“, მოსკოვი).

მაისის დამდეგს თბილისში ამხანაგური შეხვედრების გასამართად თვით ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები ჩამოვიდა. მართალია, ეს არ იყო ოლიმპიური გუნდი, მაგრამ ამერიკელთა გამოჩენამ, ცხადია, დიდი ინტერესი გამოიწვია. სტუმრებმა მოუგეს თბილისის „დინამოსა“ (117:86) და საქართველოს ნაკრებს (ანუ, იგივე „დინამოს“) — 90:82. პირველ შეხვედრაში საუკეთესო ბომბარდირები იყვნენ, „დინამოდან“: მიხეილ ქორქია — 23 ქულა და ვლადიმერ უგრეხელიძე — 21, ამერიკელებიდან — კეისი — 28, სიუტერი — 24 და სტილი — 22. მეორე მატჩში საუკეთესო შედეგი კვლავ ქორქიას ჰქონდა — 31 ქულა, კეისმა და პენდერმა შესაბამისად 23 და 22 ქულა მოაგროვეს.

შედეგიანი და თავგანწირული თამაშის გამო, ყველაზე მეტი საქებარი სიტყვა მიხეილ ქორქიას მისამართით ითქვა. თანაგუნდელისა და უმცროსი



ნაციონალური სურათი:  
პაერში აჭრილი  
ზურაბ საკანდელიძე და  
უძლური მცველები

მეგობრის ამ წარმატებით, პირველ ყოვლისა, ზურაბ საკანდელიძემ გაიხარა. თავად მიხეილ ქორქიაც მუდამ დიდი მადლიერებით იხსენებდა უფროს მეგობარს და თანაგუნდელს:

„ზურა ჩემთვის ხიდი იყო ნაკრებში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, მოედანზეც და ცხოვრებაშიც, ვგრძნობდი მის მზრუნველობას. ძმა მე არ მყოლია და უფროს ძმასავით მედგა გვერდით. ურთიერთობაში თითქოს უმუალო იყო, მაგრამ ახლოს არ მიგიმვებდა, გულში არ ჩაგახედებდა, ვერ გაიგებდი, რა უჭირდა, რა უღებინდა, რა უხაროდა. ზურას საკუთარ თავზე არასოდეს უფიქრია, გუნდზე იყო გადამკვდარი, მუდამ გუნდისთვის იღვწოდა, „დინამო“ იქნებოდა ეს თუ ნაკრები. მას არა მარტო თანაგუნდელები, უცხოელებიც განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ. „ვარსკვლავობა“ მის ბუნებაში ვერ თავსდებოდა, ძალიან უბრალი იყო, თავაზიანი, მორცხვიც კი, ამავე დროს — უდიდესი პიროვნება. მსგავსი ტალანტის მნახველი არა ვარ. როცა საჭირო და აუცილებელი იყო, მაშინ ბოლომდე გამოაჩენდა თავის უსაზღვრო ძალას... 1971 წელს, ესენში, ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის დამთავრებამდე 7 წუთი რომ რჩებოდა და იუგოსლავიელებს ძლივს გავუთანაბრეთ ანგარიში, კონდრაშინს, როგორც იქნა, „გაახსენდა“ საკანდელიძე. გამოვიდა ზურა და მოედანზე ისეთი ცეცხლი დაანთო, ყველა გაგვაოგნა, ზედიზედ 6 ქულა აიღო და სწორედ ამის შემდეგ გატყდა ჩვენი მეტოქე.“

...1972 წლის 24 ივნისს საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების საბოლოო სია გამოქვეყნდა: სერგეი ბელოვი, ალექსანდრ უარმუხამედოვი, ივან ედეშკო, მოდესტას პაულაუსკასი, ალექსანდრ ბელოვი, ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია, ანატოლი პოლივოდა, ალექსანდრ ბოლოშევი, გენადი ვოლნოვი, ივან დვორნი, სერგეი კოვალენკო.

სწორედ ეს შემადგენლობა გაემგზავრა მიუნხენში, წინაოლიმპიურ საერთაშორისო მინი-ტურნირში საასპარეზოდ. საბჭოთა ნაკრებმა 20-20 ქულით მოუგო იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს, ხოლო მასპინძლები 37 ქულით გაანადგურა და პირველი ადგილი დაიკავა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ვლადიმირ კონდრაშინმა შეაფასა თავისი გუნდის თამაში და ესეც თქვა: „სხვებთან ერთად, ზურაბ საკანდელიძის შემოწმებაც გვინდოდა, მისი სპორტული ფორმა გვაინტერესებდა. ესენში ჩატარებულ ევროპის ჩემპიო-



ნატში ზურაბმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მან ფინალურ მატჩში, იუგოსლავის ნაკრებთან. მაგრამ ესენის შემდეგ, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ უთამაშია ნაკრებში და აი, ახლა მოგვეცა მისი შემოწმების საშუალება. ამ ტურნირმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საკანდელიძის ნაკრებში თამაში ეჭვს არ იწვევს“.

არადა, სწორედ კონდრაშინმა ჩამოაშორა ნაკრებს საკანდელიძე. თუ ადრე, გომელსკის უფროსმწვრთნელობის დროს, ზურაბს, ასე ვთქვათ, თავისუფალ რეჟიმში ვარჯიშის უფლება ჰქონდა, კონდრაშინმა, რომელიც ახლოს არ იცნობდა ქართველ კალათბურთელს, ყოველდღიური კროსი და შტანგა დაუნიშნა. სწორედ მაშინ გაიყარა მათი გზები. საკანდელიძე ადგა და თბილისში დაბრუნდა.

მით უმეტეს, ამის სხვა მიზეზიც ჰქონდა — გაუთავებელი შეკრებები-სა და შეჯიბრებების გამო, ერთი წლის შვილი წესიერად არც ენახა და გული შინისკენ მოუწევდა.

რამდენიმე თვის შემდეგ, კონდრაშინი მოლბა და საკანდელიძეს კვლავ ნაკრებში უხმო. ზურაბმა სწრაფად აღიდგინა სპორტული ფორმა და მალე ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა. ეს მოხდა თბილისში, იური გაგარინის მესამე საერთაშორისო მემორიალზე.

სხვათა შორის, საბოლოოდ ამავე შეჯიბრებაზე უნდა გადაწყვეტილიყო მიხეილ ქორქიასა და ივან დვორნის ბედიც.

საბჭოთა ოლიმპიულებმა თბილისში ხუთივე შეხვედრა მოიგეს. საკანდელიძემ კიდევ ერთხელ დაანახა ყველას თავისი მაღალი კლასი, ხოლო ქორქიამ საკუთარ თავს აჯობა და მწვრთნელმაც უყოყმანოდ მიუჩინა მას ადგილი ოლიმპიურ გუნდში.

## ოლიმპიური ოქროს ბრძოლებები

და აი, დაიწყო ოლიმპიური თამაშები. ჯგუფურ ტურნირში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოუგო იუგოსლავის (საკანდელიძე — 0 ქულა, ქორქია — 4), იტალიის (4; 0), სენეგალის (8; 8), პოლონეთის (0; 6), ფილიპინების (10; 13), პუერტო-რიკოსა (2; 8) და დასავლეთ გერმანიის (6; 2) გუნდებს.



თბილისის „დინამო“ —  
კიევის „სტროიტელი“.  
ზურაბ საკანდელიძის  
შეჩერებას ცდილობს  
თბილისიდან  
კიევში გადასული  
სერგეი კოვალენკო



მიხეილ ქორქია:

„ზურა ჩემთვის ხიდი იყო  
ნაკრები, ყოველ ფეხის  
ნაბიჯზე, მოედანზეც და  
ცხოვრებით, ვგრძეობდი  
მის მზრუნველობას. მხა  
მე არ მყოლია და უფროს  
ძმასავით მედგა გვერდით.  
ურთიერთობაში თითქოს  
უშუალო იყო, მაგრამ ახ-  
ლოს არ მიგიშვებდა, გულში  
არ ჩაგახდებდა, ვერ გაი-  
გებდი, რა უჭირდა, რა ულ-  
ხინდა, რა უხარიდა. ზურას  
საკუთარ თავზე არასოდეს  
უფირა, გუნდზე იყო გა-  
დამკვდარი, მუდამ გუნდის-  
თვის იღვწოდა, „დინამო“  
იქნებოდა ეს თუ ნაკრები.“

მეორე ჯგუფიდან ნახევარფინალში საბჭოელებთან ერთად იტალი-ელებიც გავიდნენ. ხელი მოეცარათ მსოფლიო ჩემპიონებს, იუგოსლავიე-ლებს, რომლებიც, ისევე როგორც პუერტორიკოელები, ბურთების უარესი სხვაობის გამო, ჯგუფში ჩარჩნენ. ეს უდავოდ დიდი მოულოდნელობა იყო.

სენსაცია პირველ ჯგუფშიც მოხდა: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ბრაზილიის ნაკრებმა 2 მატჩი ნააგო და 2 ქულით ჩამორჩა მეორე ადგილზე გასულ კუბის გუნდს, რომელმაც მხოლოდ ამერიკელებთან იწვნია მარცხი.

ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სსრ კავშირი — კუბა და აშშ — იტალია.

საბჭოთა კალათბურთელებმა დიდი გაფირვებით გადალახეს კუპელთა წინააღმდეგობა — 67:61, ამერიკელებმა კი აპენინელები გაანადგურეს — 68:38.

კუპელებმა კიდევ ერთი სენსაცია გამოაცხვეს და მესამე ადგილის-თვის უმძიმესი ბრძოლა მოუგეს იტალიელებს — 66:65.

ნახევარფინალურ მატჩში საბჭოთა გუნდის თამაშის ხარისხმა, ბუნებრივია, შეაშფოთა დელეგაციის ხელმძღვანელობა. საბჭოთა კავშირის სპორტუმიტეტის თავმჯდომარეს სერგეი პავლოვს ნაკრების უფროსი მწვრთნელისთვის უკითხავს, საკანდელიძეს პირველ ხუთეულში რატომ არ აყენებო (მართლაც, არც საკანდელიძე და არც ქორქია მანამდე გამართულ არც ერთ მატჩში პირველ ხუთეულში არ ყოფილან. ამას ვინ ჩივის, კონდრა-შინმა ქართველი კალათბურთელები მხოლოდ რამდენიმე წუთი ათამაშა და ის დაბალი შედეგიანობაც, რაზეც ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება, მხო-ლოდ და მხოლოდ ამან გამოიწვია). თავმჯდომარისთვის მწვრთნელს ასე უპასუხია: სერგეი პავლოვიჩ, საკანდელიძე ჩვენი ფარული იარაღია, ფი-ნალისთვის ვინახავ, ამერიკელებს სიურპრიზს ვუმზადებო...

საფინალო სასტარტო ხუთეული საბჭოთა ნაკრების კაპიტნის სერგეი ბელოვისთვისაც სიურპრიზი გამოდგა: „კონდრაშინმა და ბაშკინმა მოე-დანზე უჩვეულო სასტარტო ხუთეული გამოიყვანეს: საკანდელიძე, ქორ-ქია, უარმუხამედოვი და ორივე ბელოვი — ალექსანდრე და მე. თამაშში თავიდანვე „რეაქტიული“ საკანდელიძისა და ქორქიას ჩართვით ჩვენმა მწვრთნელებმა მთავარ იარაღად სისწრაფე აირჩიეს. შეტევები ისე სწრა-ფად უნდა განვითარებულიყო და დაგვირგვინებულიყო, რომ მეტოქეს ვერ მოესწორ დაცვის ორგანიზება. ისეთი გუნდის წინააღმდეგ, რომელიც




თავისი დაცვით არის განთქმული, ერთადერთი ეფექტური იარაღი სისწრაფე უნდა გამომდგარიყო. იცოცხლე, კარგი ჩანაფიქრია, მაგრამ ჩვენ ხომ ამ ხუთეულით პირველად ვთამაშობდით და, ამდენად, ეს ერთგვარად ავანტიურა იყო“.

ზურაბ საკანდელიძის ზღაპრული სპრინტერული მონაცემების ამბავი ყველამ იცის და მისი სასტარტო ხუთეულში დაყენება სწორი ნაბიჯი გამოდგა. მიხეილ ქორქიაც სწრაფ კალათბურთს ანიჭებდა უპირატესობას, თან, ფარქვეშ ლომივით იბრძოდა.

„მატჩის სტარტზე საშა ბელოვმა ბურთი დაკარგა, მაგრამ საკანდელიძემ დაიბრუნა. მერე იმავე ბელოვმა ორიდან ერთი ჯარიმა ჩააგდო და ანგარიში გაიხსნა — 1:0. ცოტა ხანში საკანდელიძემ ხელთ იგდო ბურთი და უსწრაფესი რეიდი განახორციელა. კვლავ ჯარიმა. ქართველმა კალათბურთელმა უშეცდომოდ ისროლა — 3:0. დაცვაში ზურაბმა ისევ „მოჰპარა“ ბურთი მეტოქეს და შეტევა თავადვე დააგვირგვინა — 5:0. ამას მოჰყვა მეტოქის ერთი ზუსტად შესრულებული საჯარიმ და საკანდელიძის კიდევ ორი ქულა საშუალო დისტანციიდან — 7:1. საწყის ნუთებში საგრძნობი ნერვიულობის შემდეგ მშვიდად და უფრო ზუსტად დაიწყო თამაში ქორქიამ, რომელიც უფრო და უფრო სასარგებლო ხდებოდა გუნდისთვის.

ასეთმა წარმატებულმა სტარტმა, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად განაპირობა კონდრაშინის მომდევნო ნაბიჯები. მან საკანდელიძე ბოლომდე დატოვა ძირითად შემადგენლობაში და სულ რამდენიმე წუთი დაასვენა. თუმცა, ზურაბს ძირითადად დაცვითი ფუნქციები დაეკისრა, რის გამოც სწრაფი შეტევის ეფექტი სავსებით გაქრა. ეს კი თამაშის ხასიათზე აისახა. ამერიკელებმა ამოისუნთქეს, საბჭოთა გუნდის 10-ქულიანი უპირატესობა (21:11) სანახევროდ გაქრა და გუნდმა ტაიმი მხოლოდ 5 ქულით მოიგო — 26:21.

მეორე ტაიმში, არცთუ კარგად მოთამაშე სერგეი ბელოვის ნაცვლად, მოდესტას პაულაუსკასი გამოვიდა, რომელიც შესვენებამდე სათადარიგო-თა სკამზე იჯდა. ამის გამო მას გაუჭირდა თამაშში ჩართვა, თუმცა საბჭოელები მაინც ახერხებდნენ უპირატესობის შენარჩუნებას. ამასობაში დადგა ამ ფინალური მატჩის პირველი მნიშვნელოვანი მომენტი, რამაც, გარკვეულწილად, გავლენა იქონია მატჩის საბოლოო შედეგზე.





როცა ანგარიში იყო 35:28 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ, ფარქვეშ ბურთისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეებნენ დუაიტ ჯონსი და მიხეილ ქორქია. ამერიკელმა აშენად იუზება და ქორქიამაც იგივეთი უპასუხა. მსაჯებმაც არ დაყოვნეს და მტყუან-მართლის ძიებას აღარ მოჰყვნენ — ორივე მოჩხუბარი მოედნიდან გააძევეს. ჯონსი ამერიკელთა ერთ-ერთი ლიდერი იყო და იმ 28 ქულიდან, რაც ოკეანისგალმელებს იმ დროისთვის საბჭოთა გუნდის კალათში ჩააგდეს, ქულათა დიდი ნაწილი მასზე მოდიოდა!

მიხეილ ქორქია ასე იხსენებდა ამ ეპიზოდს: „როცა ჯონსი და მე გაგვაგდეს, მწვრთნელს თვალს ვერ ვუსწორებდი. სკამის კიდეზე ჩამოვჯექი და გავიფიქრე, მორჩა ჩემი კარიერა ნაკრებში-მეთქი. უცებ კონდრაშინი ნამდგა, ჩემსკენ ნამოვიდა, ბეჭებზე ხელი მომითათუნა, თამაშისთვის მადლობა გადამიხადა და გაბრძყინებული თვალებით მითხრა — იცი, შენ ვინ გააგდეო! ამით მეც და მთელი გუნდიც დაგვაწყნარა“.

თუმცა საბჭოთა ნაკრებს ვერც ამან უშველა და მთელი მატჩის განმავლობაში ნაგროვები ქულები მეტოქებ სულ გაუცამტვერა. მოთამაშეებს დალა დაეტყოთ, რასაც ნერვიულობა მოჰყვა, ამერიკელები კი, რომელთაც ხელთ იგდეს თამაშის სადავეები, აღმაფრენითა და აზარტით თამაშობდნენ.

გადამწყვეტი ეტაპი საფინალო სასტვენამდე 3 წუთითა და 57 წამით ადრე დადგა. კოლინზმა ეფექტურად ჩააგდო ბურთი და სხვაობა 2 ქულამდე დაიყვანა — 42:44.

ამერიკელები პრესინგს მიმართავენ და საკანდელიძესთან ბრძოლისას ჯავრიმდებიან. დარბაზში ენით აუწერელი ღრიანცელია. ზურაბი საჯარიმო ხაზზეა და... ვერც ერთ ჯარიმას ვერ ათავსებს კალათში.

37-ე წუთზე ჯონისი ჯარიმდება. პაულაუსკასი მხოლოდ ერთ საჯარიმოს აგდებს — 45:42.

37 წუთი და 24 წამი. ჯარიმდება რედლერი. ამჯერად პაულაუსკასი ზუსტია — 47:42.

37 წუთი და 32 წამი. ჯონისმა ზუსტად ტყორცნა — 44:47.

კოლინზმა ორივე საჯარიმო ჩააგდო — 46:47.

38 წუთი და 21 წამი. ამერიკელები დაჯარიმდნენ. საკანდელიძემ მხოლოდ ერთი საჯარიმო ჩააგდო — 48:46.

ხუთი პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი ბენტომიმ დატოვა. სერგეი ბელოვის ჯარიმებიდან მხოლოდ ერთი გამოდგა ზუსტი — 49:46.

მატჩის დამთავრებამდე 10 წამით ადრე ერთი ქულით წინ საბჭოთა ნაკრებია — 49:48. ბურთს საბჭოელები ფლობენ, მაგრამ შეტევისთვის განკუთვნილი დრო იწურება. ალექსანდრ ბელოვი მარცხნიდან ბურთიანად შედის სამწამიან ზონაში, მის წინ კი ორი ამერიკელია აღმართული — ფორბი და მაქმილანი. ორიოდე მეტრის მანძილიდან ისროლა, მაგრამ მაქმილანმა მოასწრო ახტომა და თითის წვერებით მოიგერია ბურთი, რომელიც მოედნის კუთხისევნ გაფრინდა. ბურთი ისევ ბელოვმა ჩაიგდო ხელში. მას რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა: მის გვერდით პაულაუსკასი იდგა, გვერდით ხაზთან, სამიოდ მეტრში — სერგე ბელოვი. მაგრამ ალექსანდრემ ყველაზე ცუდი და სახიფათო ვარიანტი აარჩია — გრძელი პასი უკან, საკანდელიძის მისამართით. ეს პასი კოლინზმა ჩაჭრა.

გენადი ვოლნოვი: „საშას უნდა დაეჭირა ბურთი, თუნდაც ბურთიანად განწლილიყო, ან ჰერში აეგდო და „ვაშა“ დაეყვირა... არა, მან უკან გადაანოდა საკანდელიძეს. ამას არავინ მოელოდა. სანამ საშას ბურთი ეჭირა, ასი პროცენტით დარწმუნებული ვიყავით გამარჯვებაში“.

სერგეი ბელოვი: „მახსოვს, ტაბლოს ავხედე — 19,50. მერე საშას შევხედე, ვიფიქრე, ახლა გადმომანოდებს, მე კი ბურთს მაისურის ქვეშ დავმალავ-მეთქი. და უცებ თვალი ამეჭრა — მან უკან, ცენტრისევნ გააკეთა პასი.“

სერგეი ბაშკინი: „პაულაუსკასისთვის რომ გადაეწოდებინა, არაფერიც არ მოხდებოდა. თან მოდესტასი უყვიროდა, პასი, პასი, ბურთი გადმომანოდეო!“.

...კოლინზი ცდილობდა ორი ხელით დაეჭირა ბურთი, მაგრამ ვერ მოახერხა — მისი თითებიდან ასხლეტილი ბურთი აუტისევნ მიექანებოდა. კოლინზი ინერციით ჰენდერსონს დაეჯახა, მარცხენა ხელით მისწვდა ბურთს და პირდაპირ მეტოქის კალათისევნ გაემართა. მის პარალელურად მოძრაობდა საკანდელიძე. მათი გზები 3-წამიანი ზონის მისადგომებთან გადაიკვეთა, საბჭოელების კალათის მარცხნივ. კოლინზმა დაამთავრა მოძრაობა...“

და უცებ, წმისა ამ უმცირეს მონაკვეთში, საკანდელიძემ ისეთი რამ გააკეთა, რამაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. კოლინზი რომ ფარამდე



მისულიყო და თავისუფლად ჩაეგდო ბურთი, ამერიკელები ქულით დაწინაურდებოდნენ და ამათ ბურთის აუტიდან შემოსატანადაც კი არ დარჩებოდათ დრო.

ამიტომ ზურაბმა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო — მარცხენა მხარი ჩაუდგა მეტოქეს. ამერიკელმა კალათბურთელმა ინერციით დაკარგა ბურთი, თვითონ კი საკანდელიძის ზურგს გადააფრინდა. მასთან მაშინვე გაჩნდნენ ჯონის და ამერიკელთა მეორე მწვრთნელი ჯონ ბახი. თავის მხრივ, საკანდელიძეც გადავარდა პირით ხაზს იქით. მსაჯებმა საკანდელიძე დააჯარიმეს და ამერიკელები ორი სროლისთვის მოიწვიეს. მატჩის დამთავრებამდე 3 წამი რჩებოდა.

კოლინზმა ზუსტად ტყორცნა ჯარიმები და ამერიკა დაწინაურდა — 50:49. უარმუხამედოვმა ლამის ბადიდან გამოაძრო ბურთი, პირით ხაზს იქით დადგა და სერგეი ბელოვს გადააწოდა. მან მოძრაობა დაიწყო, მაგრამ ცენტრალურ ხაზთან რომ მივიდა, სასტვენმა შეაჩერა. მსაჯებმა საბჭოთა ნაკრებს წუთშესვენება მისცეს.

სერგეი ბელოვი: „სამ წამს ასე სწრაფად არ უნდა გაევლო. ამ დროში თითქმის მთელ მოედანს გადავჭრიდი. ეს ტესტი ხომ არაერთხელ ჩამიბარებია. აღმოჩნდა, რომ ორი წამი გასულიყო. ამერიკელებმა კი ეს სირენა მატჩის დამთავრებად აღიქვეს.“

სერგეი ბაშკინი: „როცა საკანდელიძე დაჯარიმდა, კონდრაშინმა დამავალა, ტაიმ-აუტი შეუკვეთეო. გადავწყვიტეთ, შესვენება პირველი საჯარიმო სროლის შემდეგ აგველო. მივედი მსაჯების მაგიდასთან და კონდრაშინის გადაწყვეტილება გადავეცი. კოლინზმა წარმატებით შეასრულა პირველი ტყორცნა. ვიდრე ბრაზილიელი მსაჯი რენატო რიგეტო ბურთს ამერიკელ მოთამაშეს გადასცემდა, სამსაჯო მაგიდისკენ მოტრიალდა. მე გავუმეორე, რომ წუთშესვენების აღება გვინდოდა, მაგრამ მსაჯები დუმდნენ. მერე რიგეტომ კოლინზს გადასცა ბურთი და ის კვლავ ზუსტი იყო. მაშინვე დაიწყო ჩვენი შეტევა და გაისმა ფინალური სირენა. სამსაჯო მაგიდისკენ მივტრიალდი, სკანდალი უნდა ამეტეხა, და უცებ თვალი მოვკარი ფიბას პრეზიდენტს უილიამ ჯონსს, რომელიც მიახლოვდებოდა და სამი თითო ჰქონდა აწეული. მივიდა მსაჯებთან და ჰკითხა: რატომ არ მიეცით წუთშესვენება საბჭოთა გუნდს, ხომ დაინახეთ, რომ ისი-

სამსაჯო მაგიდისკენ მივტრიალდი, სკანდალი უნდა ამეტეხა, და უცებ თვალი მოვკარი ფიბას პრეზიდენტს უილიამ ჯონსს, რომელიც მიახლოვდებოდა და სამი თითო ჰქონდა აწეული. მივიდა მსაჯებთან და ჰკითხა: რატომ არ მიეცით წუთშესვენება საბჭოთა გუნდს, ხომ დაინახეთ, რომ ისი-



**საბჭოთა კავშირის  
კადათბურთელთა ნაკრები.  
უკანა რიგში  
მარტინიძე მესამე —  
ზურაბ საკანდელიძე**

ნი ამას გთხოვდნენო. ჯონსმა მშვენივრად იცოდა, რომ ასეთ შემთხვევაში გარდაუვალი იყო ჩვენი მხარის პროტესტი. ალბათ ეგონა, რომ სამ წამში ბურთის ჩაგდება შეუძლებელია და მატჩის დაბოლოების გადათამაშება გადაწყვიტა.

ალექსანდრ ბოლოშევს გუშინდელ დღესავით ახსოვს ყველაფერი: „ტა-იმ-აუტის დროს კონდრაშინმა გვითხრა, უამრავი დრო გვაქვსო. გულის სიღრმეში კი მქონდა სასწაულის იმედი, მაგრამ სამ წამში?!.“

გენადი ვოლნოვი: „წუთშესვენების დროს სკამის კიდეში ვიჯექი და კონდრაშინს არც ვუსმენდი. ვფიქრობდი, მატჩი ფაქტობრივად წაგებულია და რაღა აქვს სალაპარაკო-მეთქი“.

ტაიმ-აუტის შემდეგ გუნდები ასეთი შემადგენლობით გავიდნენ მოედანზე: საბჭოთა ნაკრები — პაულაუსკასი, ედემჟო, საკანდელიძე, ორივე ბელოვი; აშშ-ის გუნდი მაქმილანი, ფორბსი, ჯონისი, კოლინზი, რეტლეფი.

მაქმილანი ზედ გვერდით ხაზთან გაჩერდა, რომ ბურთის შემოტანაში ედეშქოსთვის ხელი შეეძალა. ედეშქომ თავის საჯარიმო მოედანზე მდგომ პაულაუსკასს გადააწოდა, მან კი მარჯვენა ხელით ბურთი საშა ბელოვის მისამართით გაგზავნა. ბურთმა ჯერ გადაუფრინა ჯონისს, რომელიც ბელოვს იჭერდა, და საბჭოთა ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელსაც. სა-



თბილისის „დინამოს“  
მწრთხელები  
საკანდიდიძეს ორიოდ  
წუთით თუ დაასვენებდნენ  
და მერე ისევ ბრძოლაში  
რთავდნენ

შა მაღალ ნახტომში თითის წვერებით ცდილობდა ბურთს მისწვდომოდა და კალათში ჩაეგდო, მაგრამ იგი ფარს მოხვდა და მოედანზე დაბრუნდა. მანამ ბელოვი ბურთს შეეხებოდა, სირენის ხმა გაისმა და ბედნიერმა ამერიკელებმა მოედანზე დაიწყეს გამარჯვების აღნიშვნა. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ მატჩი კიდევ ერთხელ განახლდა — მსაჯებმა გადაწყვეტილება მიიღეს, სამი წამი გადაეთამაშებინათ.

ალექსანდრ ბოლოშევი ასე ხსნის მსაჯების ამ გადაწყვეტილებას:

— როგორც კი მოდესტასმა ბურთი გადააწოდა, მაშინვე გაისმა სირენის ხმა. როგორც აღმოჩნდა, მზყობრიდან გამოვიდა ელექტრონიკა. დროის ათვლა პირდაპირ ედეშკოს პასის შემდეგ დაწყებულა, არადა, წესით, წამზომი მაშინ უნდა ჩართულიყო, როცა პაულაუსკასი ბურთს შეეხებოდა.

მოდესტას პაულაუსკასი: „ედეშკოს გადაცემა რომ მივიღე, ვეღარაფერი მოვასნარი, მაშინვე გაისმა სირენის ხმა“.

სერგეი ბელოვი: „ედეშკომ პაულაუსკასს რომ გადააწოდა, ერთ წამში სირენა ჩაირთო“.

და აქ საქმეში ისევ ჯონსი ჩაერია.

ამერიკელებმა გადაწყვიტეს, შეეცვალათ დაცვითი განლაგება: ახლა ჯონისი და ფორბსი ერთად მეურვეობდნენ ალექსანდრ ბელოვს, ედეშკო კი

მარტო დარჩა — მაქმილანი პაულაუსკასას აეტუზა. საშამ ცრუ მოძრაობა გააკეთა — უკან გაქანდა და გაქვავდა. მერე იგივე მოძრაობა გაიმეორა კალათისკენ. ედეშეომ მარჯვენა ხელით მთელი მოედნის გადაკვეთაზე გადააწოდა. ამერიკელები წამოეგნენ ბელოვის ცრუმოძრაობას და ფართან ახტნენ, სადაც მეტოქე ეგულებოდათ. ბელოვმა ორივე ხელით დაიჭირა ბურთი და ფარისკენ დაიძრა. ახლა ფორბსი მას ზურგში ედგა, ჯოისი კი — გვერდულად. ორივე ამერიკელი ცდილობდა ბურთს მისწვდომოდა, მაგრამ ფორბსი მკერდით დაეჯახა ბელოვს და იატაკზე დავარდა, ჯოისი კი ინერციით ფარის ქვემოდან შორს გაფრინდა. ბელოვი მარტოდმარტო დარჩა ბადესთან, კალათის მარცხენა მხრიდან ახტა და ორი ხელით ჩააგდო ბურთი.

გენადი ვოლნოვი: „საშა ბელოვმა კინაღამ წააგო ოლიმპიადა, საბოლოოდ კი ფინალის მთავარ გმირად იქცა. ამაში, რა თქმა უნდა, უზარმაზარი დამსახურება მიუძღვის ედეშეოს. მან კომპიუტერივით ისეთი ტრაექტორია მოუხაზა ბურთს, რომ ამერიკელებმა ვერ შეძლეს მისი ჩაჭრა. დარწმუნებული ვარ, კიდევ ასჯერ რომ გაიმეოროს ედეშეომ ეს პასი, ასეთი ფილიგრანული სიზუსტისა არც ერთი აღარ გამოუვა“.

ივან ედეშეო: „ბასამდე საშას შევხედე. მან თავი დამიქნია და ბურთიც გავისროლე. ბევრი აღფრთოვანდა ამ პასით, მაგრამ მე ახლაც მგონია, რომ ბელოვი უფრო რთულ ვითარებაში იყო — მას სწრაფად მფრინავი ბურთი ისე უნდა დაეჭირა, რომ მაშინვე კალათისკენ ესროლა“.

სერგეი ბაშკინი: „როცა საშას ვკითხე, ბურთი რატომ არ ჩატენე-მეტე, შემეშინდა, არ ამოვარდნილიყო, მიპასუხა.“

სერგეი ბელოვი: „საშა აკანკალებული ხელით კალათში რომ აგდებდა ბურთს, მე უკვე ფარქვეშ ვიდექი და მზად ვიყავი, თუ საჭირო გახდებოდა და დროც დარჩებოდა, შეტევა მე დამემთავრებინა“.

მიუნხენის „ბასკეტბალჰოსი“ ენით აუწერელი რამ ხდებოდა. ამერიკელთა მთავარი მწვრთნელი აიბა გაშმაგებული წამოხტა და მატჩის კომისარს ეცა. ამერიკელებმა სააპელაციო უიურის მისამართით სასწრაფოდ გამოაცხვეს პროტესტი. უიური დაუყოვნებლივ შეიკრიბა საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად. მაგრამ სხდომის დაწყებას კარგა ხანს საშველი არ დაადგა, რადგან მოედანი ხალხით გაივსო. აქ იყვნენ სპეციალისტებიც,



ორგანიზაციორებიც, გუნდების წარმომადგენლებიც, უურნალისტებიც და მაყურებლებიც. ამერიკელთა გულშემატკივრები რას არ ისროდნენ ტრიბუნებიდან.

ერთი სიტყვით, აირია მონასტერი.

იმ ღამეს ვერაფერი დადგინდა. სააპელაციო ჟიურიმ გადაწყვიტა, საქმის გარჩევა მეორე დღისთვის გადაედო — მყუდრო ვითარებაში, საღვებაზე ეთათბირა.

როცა ყველაფერი მიწყნარდა და ვლადიმირ კონდრაშინს ნაკრების წევრების დახასიათება სთხოვეს, მან უურნალისტებს ასე უპასუხა:

— მე, როგორც ნაკრების უფროს მწვრთნელს, ვფიქრობ, ბედმა გამილიმა, რომ ფინალის უკანასკნელ წუთზე მოედანზე იყო ზურაბ საკანდელიძე. სწორედ მან, თავისი გამჭრიახობისა და სისწრაფის წყალობით, შეძლოდასწეოდა კოლინზს და შეეჩერებინა. დარწმუნებული ვარ, ეს ზურაბის გარდა არავის გამოუვიდოდა.

მოდესტას პაულაუსკასმა კი მოგვიანებით ასეთი რამ გვითხრა:

„მე ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა ზურაბ საკანდელიძეს შემახვედრა, თან ადრეული წლებიდან, ჯერ კიდევ ახალგაზრდული ნაკრებიდან. უკვე მაშინ ეტყობოდა, რომ მისგან დიდი კალათბურთელი დადგებოდა — ბუნებისგან ჰქონდა მომადლებული სისწრაფე, ნახტომი, ისე აგწაპნიდა ბურთს, თვალსაც ვერ შეავლებდი. სამ წამში მოგება ხომ ფანტასტიკის სფეროს ექუთვნის, მაგრამ საკოს რომ ის ჯარიმა არ აეკიდებინა, ოქროს მედლებს ვინ გვაღირსებდა.“

არაჩევულებრივი მეგობრობა იცოდა, სულში ჩაგისვამდა. მე დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ ის ჯარიმა მან საშა ბელოვისთვის გააკეთა. ფინალი რომ წაგვეგო, საშას გადაასახლებდნენ...“

მაშ ასე — ოქროს ტყურცნა ალექსანდრ ბელოვის შესრულებით, ოქროს პასი ივან ედეშკოს შესრულებით და... ოქროს ფოლი ზურაბ საკანდელიძის შესრულებით.

როცა მატჩის დამთავრებას რამდენიმე წამი აკლდა და თითქოს შეხვედრის გადარჩენის არავითარი გზა არ ჩანდა, საკანდელიძემ მყისიერი გადაწყვეტილება მიიღო — ზურგი შეუშვირა ფარისკენ ასვეტილ ამერიკელს, რითაც ის ისტორიული სამი წამი მოიგო.



საბჭოთა კავშირის  
კალათბურთელთა  
ნაკრები აშშ-ში.  
უკანა რიგში  
მარცხნიდან მეორე —  
ზურაბ საკანდელიძე





თური სელიბოვი,  
ზურაბ საკანდელიძე  
და სერგეი ბელოვი

## ნასვლის დრო არ უძღა გამოგეპაროს

...ოლიმპიური ოქროს მედალი რომ ჩამოიტანა, ზურაბი ხუმრობდა, რაც მოსაგები იყო, ყველაფერი მოვიგე, ჯერ მარსზე ტურნირები არ ტარდება, თორემ, ალბათ, იმასაც მოვიგებდიო. ნახეთ, რას ამბობს კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი ალჟან ქარმუხამედივი:

„გუნდში ვხუმრობდით, საკოს სად სკალია კალათბურთის სათამაშოდ, ის სულ ჰაერში დაფრინახესო. და მართლაც, კალათბურთის საზომებით შედარებით ტანდაბალს, ისეთი ნახტომი ჰქონდა, ადგილიდან მოწყვეტით ისე ჩამოეკიდებოდა კალათს, გაკვირვებას ვერ ვმაღლავდით. ეს რაღაც საოცრება იყო“.

...დადგა 1977 წელი. 24 აპრილს თბილისის სპორტის სასახლის ტრიბუნები ხალხით იყო გაჭედილი — საბჭოთა კავშირის 44-ე ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მორიგ მატჩში თბილისის „დინამო“ კაუნასის „ჟალგირის“ ხვდებოდა. ქართველმა კალათბურთელებმა კარგად ითამაშეს და 10 ქულით დაამარცხეს ტრადიციულად უხერხული მეტოქე. ამ გამარჯვებით მათ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს ჩემპიონატის მედლებისთვის ბრძოლაში.

მაგრამ იმ დღეს ამ მატჩის შედეგი ნაკლებად აინტერესებდა გულშემატკივარს. ეს დღე უფრო მნიშვნელოვანი ამბით იყო ღირსსახსოვარი — ზღვა ხალხი დიდი კალათბურთიდან აცილებდა თავის კერპს ზურაბ საკან-დელიძეს!

„ბევრი ამბობს, ადრე წავიდაო, მაგრამ, მე მგონი, სწორი გადაწყვეტილება მივიღე. იმ მომენტამდე უნდა ითამაშო, სანამ ისევ შეგიძლია გულშემატკივარი გაახარო და გუნდს სარგებლობა მოუტანო. როგორც კი იგრძნობ, რომ ის აღარა ხარ, იმნამსვე უნდა დაიხურო ქუდი და წახვიდე...“

ეს ზურაბ საკანდელიძის სიტყვებია. დაახლოებით იგივე გვითხრა ბატონმა სულიკო თორთლაძე:

„თუ საკუთარ თავს შეატყობ, რომ ძალა შემოგაკლდა და იმას ვერ აკეთებ, რასაც ხალხი შენგან მოელის, მოედანზე არაფერი გესაქმება. იმაზე მძიმე სანახავი არაფერია, როცა გულშემატკივარი საყვარელ სპორტსმენს დაუსტევენს და თუ თვითონ ვერ მიხვდა, თავადვე მიუთითებს კარისკენ. ამიტომაც მიმაჩნია ზურაბის ნაბიჯი გამართლებულად“.



ზურაბ საკანდელიძე ბედის ნებიერი იყო. მას აფასებდნენ და ხაზგასმული პატივისცემით ეპყრობოდნენ. ის ხმალამოლებული იბრძოდა „დინამოშიც“ და საძჭოთა კავშირის ნაკრებშიც. მის ლამაზ, ეფექტურ, არტისტულ თამაშს ერთნაირად მოჰყავდა აღტაცებაში აქაური თუ უცხოელი მაყურებელი. ჩვენ არაერთი დიდი კალათბურთელი გვყოლია, მაგრამ ყველას როდი დაუმსახურებია სახალხო სპორტსმენის ტიტული. ზურაბ საკანდელიძემ ეს დაიმსახურა — უბადლო ოსტატობით და იშვიათი პიროვნული თვისებებით.


სახელოვანი კალათბურთელი გურამ მინაშვილი ასე იხსენებს ზურაბ საკანდელიძის პირველ ნაბიჯებს „დინამოში“: „ზურაბი პირველ ვარჯიშებზე რომ ვნახე, მაშინვე დავრჩნებული, რომ ნამდვილი ტალანტი იყო. უკვე ჩამოყალიბებული მოთამაშე მოვიდა და რა გასაკვირია, რომ მალე პირველ ხუთეულში დაიმკვიდრა ადგილი. მსიამოვნებდა მის გვერდით თამაში, ალლოიანი იყო, საოცარი ინტუიცია ჰქონდა, ზუსტად იცოდა, როდის რა უნდა გაეკეთებინა. ერთი შეხედვით, ყველაფერი იოლად გამოსდიოდა, ოლონდა ამის უკან ტიტანური შრომა იმალებოდა.“

ალექსანდრ გომელსკი: „ზურაბ საკანდელიძე საბჭოთა კალათბურთის მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე სწრაფი მოთამაშე იყო. ის კი არ დარბოდა, დაფრინავდა, მისი დაწევა, ბურთის გათამაშების დროსაც კი, არავის შეეძლო. მისი რეაქცია და სისწრაფე აოცებდა მეტოქეებს და მაყურებლებს. ყველაზე უკეთ ეხერხებოდა მონინაალმდეგის გადაცემის ჩაჭრა და ბურთის ხელში ჩაგდება, რაც ჩვენს გუნდს კონტრშეტევების განსახორციელებლად მშვენიერ შესაძლებლობას უქმნიდა.“

ცხოვრებაში გულლია კაცს, სახეზე სულ ღიმილი დასთამაშებდა. გუნდში განსაკუთრებით უყვარდათ. უშიშარ მეტროლეში ბრწყინვალედ იყო შერწყმული გამოკვეთილი ინდივიდუალური თვისებები და კოლექტიური თამაშის იშვიათი უნარი“.

ვლადიმირ კონდრაშინი: „საშა ბელოვის უაზრო პასის შემდეგ გული გამიჩერდა. მცველმა დაგ კოლინზმა ცენტრალურ ხაზთან ჩაიგდო ბურთი და ჩვენი კალათისკენ გაიჭრა. მას გზა გადაუღობა სისწრაფეაკრეფილმა საკანდელიძემ და, რა თქმა უნდა, დაჯარიმდა!“

უკან დაგაბრუნოთ ისტორია და წარმოვიდგინოთ, რას დაკარგავდა ჩვენი გუნდი და მილიონობით მისი გულშემატკივარი, ზურაბი რომ



მოდესტას პაულაუსკასი:  
„ოლიმპიადაზე ზურაბ სა-  
კანდელიძემ თავგანწირუ-  
ლად ითამაშა. მან ყველა  
შეხვედრა ბრწყინვალედ  
ჩაატარა, იგი მორდაპირ  
ცეცხლს ანთებდა მოე-  
დანზე, პერზი კი ლეკურს  
ცეკვავდა. მისმა ვირტუო-  
ზობამ ყველა მოხიბლა და  
აღაფრთოვანა, მათ შორის  
ბევრის მნახველი ამერიკე-  
ლი სპეციალისტებიც“.



ვერ დასწეოდა გაქცეულ კოლინზს. საკანდელიძე ფოლს ვერ აიღებდა და, შესაბამისად, ამის გამო სათამაშო დრო არ გაჩერდებოდა. არ იქნებოდა ამერიკელების ორი რეალიზებული საჯარიმო ტყორცნა. მეც ვერ ავიღებდი ტაიმ-აუტს. და, რაც მთავარია, არ იქნებოდა ის ლეგენდარული სამი წამი, რომელმაც ჩაიტია ივან ედეშეკოს სასწაულმოქმედი პასი მთელი მოედნის გადაკვეთით, და საშა ბელოვის გამარჯვების ტყორცნა. და არც ოლიმპიური ოქროს მედლები იქნებოდა... ასე რომ, ზურაბ საკანდელიძემ მყისიერად მოსწმინდა ნამუსი ბელოვს, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო“.

სერგეი ბელოვი: „ზურაბ საკანდელიძემ ქვეყნის ნაკრებში თავიდანვე მყარად დაიმკვიდრა ადგილი. ყოველთვის მომწონდა ისეთი მოთამაშე, რომელიც არავის ჭგავდა, რომელსაც საკუთარი სახე ჰქონდა. საკანდელიძეზე გამოკვეთილ, თვითმყოფ ტალანტს ვერც ვიხსენებ. ეს უდავოდ დიდი სპორტსმენის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია.“

საინტერესოა, რომ ნაკრების მწვრთნელების თვალსაწიერში ზურაბი მოხვდა თავისი ჭეშმარიტად „კოსმოსური სისწრაფის“ წყალობით, რომლის განვითარებაც მას მოედანზე შეეძლო. საკომ ამ იშვაათ უნარს წლების განმავლობაში სათამაშო სიბრძნეც შეუთავსა. თანდათან მეტ ყურადღებას უთმობდა საშუალო დისტანციიდან ტყორცნებს, რაც თანამედროვე მცველისთვის აუცილებელია. და ეს ტყორცნები უფრო და უფრო სტაბილური გახდა.

თბილისის „დინამის“ შემადგენლობაში ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩებში მას თამამად აულია თამაში საკუთარ თავზე. მახსოვს, ქვეყნის ერთ-ერთ ჩემპიონატში ზურაბს საუკეთესო მცველის პრიზი გადაეცა.

სწორედ ამ სათამაშო სიბრძნის გამო მან ლირსეულად დაიმკვიდრა ადგილი სასტარტო ხუთეულში მიუნხენის ოლიმპიადაზე. თავიდანვე გამოვიდა ამერიკელებთან ფინალურ მატჩშიც. გამოვიდა და გუნდს დაეხმარა, სტარტიდანვე ეპოვა საკუთარი თამაში.

დიახ, უკანა ხაზის ასეთი ფეთქებადი, სწრაფი მოთამაშე აკლია დღეს ჩვენს ნაკრებს. გასაოცარია, საქართველოშიც კი, რომელიც ყოველთვის ამარაგებდა ჩვენს კალათბურთს ტემპერამენტიანი, სწრაფი და, ესე იგი, თვითმყოფადი კალათბურთელებით, ვერ გაიზარდა მეორე საკო.



შესაძლოა, თავისი სიტყვაძუნწობის, ენაძვირობის გამო, ვიღაცის თვალში საკანდელიძე დიდგულა, გულზვიად, კავკასიური სიამაყის გრძნობით გამსჭვალულ ადამიანად გამოჩენილიყო, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. ვინც მას ახლოს იცნობდა, დამიდასტურებს, რომ ეს იყო უაღრესად გულითადი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, უბრალო ადამიანი“.

მიხეილ ქორქია: „ზურაბი საკუთარი თავის მიმართ საოცრად მომთხოვნი იყო, მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდებოდა. გარდა იმისა, რომ მის მაგალითზე ქართული კალათბურთის თაობები იზრდებოდნენ, თავისზე უმცროსებს კაცობის გაკვეთილებსაც უტარებდა“.

ალუან უარმუხამედოვი: „ზურაბი გუნდში ყველას უყვარდა. იუმორის არაჩვეულებრივი გრძნობა ჰქონდა, თბილი და კეთილი, გულისხმიერი ბიჭი იყო. მოედანზე კი მეტოქეს ამნარებდა, თამაშობდა ხისტად, ჭკვიანურად და აზარტულად.

დღემდე თვალწინ მიდგას 1970 წლის ლიუბლიანის ევროპის ჩემპიონატი. ერთ-ერთმა მეტოქემ (ახლა ველარ ვიხსენებ, ვინ) გადაწყვიტა, ზურაბის რეაქტიული სიჩქარისთვის დაცვაში რალაც დაეპირისპირებინა. საკომ უცებ მოიაზრა და თითქოს ხარიხა ყოფილიყო, ზემოდან გადაუფრინა მცველს. ასეთი რამ პირველად ვნახე...“

ივან ედეშვილი: „როცა ორივე ქართველი მოედანზე იყო, მხოლოდ მათი სახელები თუ ისმოდა: „მიშა“ და „ზურა“. ეს იმას მოასწავებდა, რომ მოედანზე ქარიშხალი დატრიალდებოდა. არადა, ცხოვრებაში საკოსთანა მშვიდობისმოყვარე კაცი არ შემხვედრია. ეს ბიჭი ყველგან სიკეთეს თესავდა. მისი სტუმართმოყვარეობა უსაზღვრო იყო. უნდა გენახათ, რა სუფრებს შლიდა, როცა თბილისში ვესტუმრებოდით ხოლმე“.

ლევან მოსეშვილი: „ზურაბი ერთ-ერთი გამორჩეული მარგალიტია სახელმოვან კალათბურთელთა კოპორტაში. მისი სახელი სამუდამოდ არის ჩანაწერილი ქართული, საბჭოთა, ევროპისა და მსოფლიოს კალათბურთის ისტორიაში. ის ჩვენი ქვეყნის უსაყვარლესი სპორტსმენია, რომელსაც არასოდეს შეშლია კაცობაში. მოედანზე ხომ განუმეორებელი იყო. საკანდელიძის საყურებლად ყოველთვის იგსებოდა თბილისის სპორტის სასახლის ტრიბუნები და ხალხი გულწრფელი სიყვარულით ესალმებოდა მის ულამა-



ზამა-შეილი საკანდელიძეები  
და ზურაბ ქარაბაკი

ზეს და უნიკალურ თამაშს. დასანანია, რომ ისეთი ტალანტები, როგორიც ზურაბ საკანდელიძე და მიშა მესხი იყვნენ, ბერდებიან...“

ნოდარ ქორქია: „მე წილად მხვდა დიდი ბედნიერება, ზურაბ საკანდელიძესთან ერთად ვყოფილიყავი მოედანზე. გულშემატკივრებს დღესაც ახსოვთ მისი ბრწყინვალე თამაში. კალათბურთიში პატარა ბავშვი მივედი და ბუმბერაზი სპორტსმენები დამხვდნენ — საკანდელიძე, ქორქია, უგრეხელიძე, მოსეშვილი, ლეჟაგა... ზურასთანა კალათბურთელი იშვიათად თუ დაიბადება, სასწაულებრივი სისწრაფე ჰქონდა. არ მეგულება მისი ამპლუის კალათბურთელი, მასზე უკეთ რომ თამაშობდეს, მასზე სწრაფი რომ იყოს. ზურასგან და მიშასგან ბევრი რამ მაქვს ნასწავლი. ეს ორი კაცი ბურთს რომ აიღებდა, იძულებული იყავი, შენც ბოლომდე გებრძოლა და მთელი გული დაგედო მოედანზე“.

ზურაბ გრძელიძე: „საბჭოთა კავშირის მთავარ ნაკრებში კოლია დერიუგინი და მე ერთად გამოგვიძახეს ნოვოგორსკში, ოცდლიან შეკრებაზე. მთელი კალათბურთის ელიტა იქ დაგვხვდა. დილით მოთელვაზე გავედით და რომ გამოლაგდნენ ეს კორიფეუბი, გულმა რეჩხი მიყო, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში მათ წინააღმდეგ ცალკალ ცველასთან მეთამაშა.“



ალექსანდრ გომელსკიმ შემატყო ნერვიულობა და, თა чего, наследник Зурабა-ო რომ მითხრა, ფრთხები შემესხა. გამთამაშებლებიდან აქ იყვნენ ბელოვი, ედეშვილი, ერიომინი, ლინკიავიჩიუსი, იოვაიშა, ტარაკანოვი. მე, სრულიად გამოუცდელ ბიჭს, ამხელა მწვრთნელი საკანდელიძეს მადარებს. უზარმაზარი ძალა ვიგრძენი. შეკრება რომ დამთავრდა, გომელსკიმ მითხრა, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგადააო“.

სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ, 1980-იან წლებში, მიხეილ ქორქიას იმ დროისთვის საკმაოდ დაუძლურებული თბილისის „დინამოს“ გადარჩენა სთხოვეს და მთავარ მწვრთნელად მიიჩვიეს. მან გვერდში ამოიყენა ზურაბ საკანდელიძე. ამ ტანდემმა იმდენი ქნა, რომ უმაღლესი ლიგიდან გავარდნას გადაარჩინა გუნდი. მერე ვინ საით წავიდა და ვინ საით. ამ ორი მეგობრის გზებიც გაიყარა, მაგრამ ბოლო წლებში ისევ ერთად იყვნენ, მოჰყვებოდნენ ბებრულ წუნუნს, მე ეს მანუხებს, მე ის მანუხებსო. უფრო ხშირად ზურაბი იყო ხოლმე ქორქიების სტუმარი. დასხდებოდნენ და ძველ ამბებს იხსენებდნენ. თან ღვინოს უსინჯავდნენ გემოს, თან კი ერთმნეთს ამუნათებდნენ: შენ მეტი არ დალიო, არ შეიძლება, ცუდად გახდებიო...

საკანდელიძების ოჯახი:  
ზურაბ, ზურაბი და მაცაცო

## ტრაგიული აღსასრული

ბოლო წლებში ზურაბ საკანდელიძეს ავადმყოფობა მოეძალა — ექი-  
მებმა ციროზი დაუდგინეს და ვეტერანი სპორტსმენიც საავადმყოფოს ხში-  
რი სტუმარი გახდა. ბოლოს კი, როცა თითქმის გადაიწურა იმედი, მისმა მე-  
ულლებმ, ქალბატონმა მაცაცო მგელაძემ და ექიმებმა სასწაული მოახდინეს  
და ფეხზე დააყენეს.

ზურაბის ერთადერთი ვაჟი და იმედი, მისივე სეხნია, ზუკა ამ დროს  
მოსკოვში ცხოვრობდა — თირკმელები ჰქონდა დაავადებული, რამდენიმე  
თავრაციაც გაიკეთა და ექიმთა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო.

და აი, მოულოდნელად მოსკოვიდან თავზარდამცემი ამბავი მოვიდა —  
ზუკა დაიღუპა... არა თავისი ავადმყოფობით, არამედ ავტოკატასტროფაში...

ამაზე შემზარავი და გამაოგნებელი რაღა უნდა გაეგო...

და ზურაბიც ბურუსში გაეხვია, აჩრდილივით, მოჩვენებასავით დადიო-  
და. სულ დამუნჯდა, შინაც აღარ იღებდა ხმას. ბინა გამოკეტილი საყდარი-  
ვით ექცა. ახლობლებში ხშირად იმეორებდა, ჩემი სიცოცხლე აღარ ღირს,  
აქ მე არაფერი მესაქმებაო.

2004 წლის 25 იანვარს თანამედროვეობის უდიდესი კალათბურთელი  
აღესრულა. იგი სპორტის სასახლიდან მწუხარე და მქუხარე ტაშით გამო-  
აცილა ათასობით გულშემატკივარმა. ვერის ძეველ სასაფლაოზე, თავისი  
შვილის, ზუკა საკანდელიძის გვერდით დაკრძალეს.

მიხეილ ქორქიას ინტერვიუ გაზით „სოვეტსკი სპორტში“ (ნაწყვეტი):  
„უბედურება შვიდი წლის წინ დაიწყო, როცა ზურაბს ღვიძლის ციროზი და-  
უდგინეს. საქართველოში ხომ ყველა საკითხი სუფრაზე გვარდება. მაგრამ  
ვერ ვიტყვი, რომ ზედმეტს შვრებოდა და სასმელს ეძალებოდა. უბრალოდ,  
სუსტი ღვიძლი აღმოაჩნდა.

მას შემდეგ ორ-სამ თვეში ერთხელ საავადმყოფოში წვებოდა და დარ-  
წმუნებული ვარ, კიდევ დიდხანს იცოცხლებდა, მაგრამ 31 წლის შვილის  
მოულოდნელმა სიკვდილმა დროზე ადრე მოუღო ბოლო.

ზურაბმა ჩემი ნაწილი წაიღო. ჩვენ ხომ სულ ერთად ვიყავით. ერთ ქა-  
ლაქში დავიბადეთ, ერთ გუნდში ვთამაშობდით, თბილისის „დინამოსაც“  
ერთად ვწვრთნიდით.



შვილის გვერდით დაასაფლავეს. გასვენებაზე 12-ათასიანი სპორტის სასახლე გაჭედილი იყო. საწყენია, რომ „ოქროს გუნდიდან“ არავინ ჩამოსულა. ვინ მოიფიქრა ჩვენს ქვეყნებს შორის ეს სავიზო რეჟიმი!..

დღეს ძალიან მიჭირს ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საკანდელიძის გარდაცვალებასთან ერთად ქართული კალათბურთის ერთი დიდი ეპოქაც დასრულდა...“

ერთი კვირის თავზე გარდაიცვალა მიხეილ ქორქიაც...

2004 წლის 1 მაისს ქუთაისში დიდი ზეიმი მოეწყო — თამარ მეფის პროსპექტის მიმდებარე ქუჩებს ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელები დაარქვეს და მათ საცხოვრებელ სახლებზე მემორიალური დაფები გახსნეს (ზურაბი და მიხეილი თამარ მეფის ქუჩაზე, თითქმის გვერდიგვერდ სახლებში (ცხოვრობდნენ).

იმავე დღეს სპორტულ სკვერში ამოტვიფრეს ამ ორი ოლიმპიური ჩემპიონის ვარსკვლავი, ხოლო ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოეწყო სულიკო თორთლაძის, ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას ხსოვნის საღამო.

## ზურაბ საკანდელიძე

დაიბადა 1945 წლის 9 აგვისტოს ქუთაისში. კალათბურთელი (186 სმ).  
თამაშობდა თბილისის „დინამოში“ (1963-75) და სსრკ ნაკრებში (1965-73).  
XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1972, მიუნხენი), XIX ოლიმპიადის მესამე  
პრიზიორი (1968, მეხიკო), მსოფლიოს ჩემპიონი (1967) და მესამე პრიზიორი  
(1970), ევროპის თოხვზის ჩემპიონი (1965, 67, 69, 71) და მესამე პრიზიორი  
(1973), სსრკ თასის მფობელი (1969), ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მცველი  
(1967), მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების წევრი (1967), საქართველოს წლის  
საუკეთესო სპორტსმენი (1967). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.  
ვახტანგ გორგასლის II ხარისხის და ღირსების ორდენების კავალერი.  
გარდაიცვალა 2004 წლის 25 იანვარს.



### ZURAB SAKANDELIDZE

Basketball player (186 cm), was born on August 9, 1945 in the city of Kutaisi.  
He played for "Dynamo" Tbilisi (1963-1975) and for the USSR national combined team (1965-1973). Sakanelidze was a champion of XX Olympic Games (Munich, 1972), bronze medalist of XIX Olympics (Mexico, 1968), champion (1967) and bronze medalist (1970) of the world championship, four-time European champion (1965, 1967, 1969, 1971) and bronze medalist (1973) and the USSR cup winner (1969). In 1967 he was named the best defender of European basketball championship and was a member of the world symbolic team. Sakanelidze was named the best Georgian sportsman (1967). He was the USSR Honored Master of Sports and was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class and Order of Honor. Sakanelidze deceased on January 25, 2004.